ტელეფონი მესამე · ფასი 10 კაპ. · სამშაბათი, 1917 წ. მკათათვის 4 (15)

# საქართველო

ხელის მოწერა და ყოველი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სრულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მთაწმინდის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, ред. газ. „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

ტელეფონი 15—73

განცხადების ფასი
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ... უკანასკნელზე—20 კ. ... განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 6 მ.; 20×2 ღირს 8მ., 25×2 ღირს 10მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ღირ. მეტი.
თვიურად გაზეთი ღირს 2 მანეთი.

№ 143 · ყოველდღიური გაზეთი ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულებისა · № 143

## გაზეთის შინაარსი

### საგულისხმო ცნობები

უწმინდესმა სინოდმა საქართველოს ავტოკეფალია მიიღო. საქართველოს ეგზარხოსს კავკასიის ეგზარხოსი ეწოდება.

დროებითმა მთავრობამ პეტროგრადში დაარსა კავკასიის კომისარიატი, კომისრად დანიშნულია ნაბაკოვი. მის ამხანაგად ევანგულოვი.

ბერლინში სამხედრო საბჭომ პეტროგრადის აღება გადასწყვიტა.

დობროვოლინისა და ნოვიცის ფრონტზე და პერეხინსკისთან გერმანელების იერიშია.

ბერლინში სამინისტროს კრიზისია.

ინგლისის ჯავშნოსანი „ვანგარდი“ ჩაიძირა.

ფინლანდია რუსეთს სესხს აძლევს.

რუსეთის მთავრობამ უკრაინის ცენტრალი რადა კანონიერ ორგანოდ სცნო.

### წერილები

**მეთაური.** მიწის გაყიდვის აღკრძალვა.
**გრიგოლ ვეშაპელი.** ქართული ბანკი.
**გერონტი ქიქოძე.** პოლიტიკური მომენტი.
**აგრონომი გამხარაშვილი.** ბათომის ოლქის მეურნეობა.

მისალმება ამიერ-კავკასიის ბანკის კურთხევაზე მკათათვის 2-ს. ეპ. ლეონიდესი.
ქართული მონასტერი ბულგარეთში.
რა ხდება უკრაინაში.

## თბილისის ქალაქის საარჩევნო კომიტეტისა და თბილისის ქალაქის გამგეობისაგან

## საქალაქო არჩევნებისათვის

თბილისის საარჩევნო კომიტეტი ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ის განცხადებები, რომლებიც შემოტანილი იყო თიბათვის 24-დან—28-დის საარჩევნო სიების შესასწორებლად, განხილულ იქნება ქალაქის საარჩევნო კომიტეტში თიბათვის 29 და 30-ს და მკათათვის 1, 2 და 3. ვისაც განცხადებანი შემოუტანიათ, კეთილ ინებონ და საარჩევნო კომიტეტის კანცელარიაში საქმის გასაგებად მოვიდნენ, სარტიტო საზოგადოების საზამთრო შენობა, გოლოვინის პროსპექტი № 21, ამ წლის მკათათვის 4-ს დილის 10 საათიდან დღის 3 საათამდის და 7 საათიდან ღამის 10 საათამდის.

### საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის X და XII უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრად ჩაწერა შეიძლება ყოველ-დღე საღამოს 6—11 საათამდე ახალ საკრებულოს (ხარფუხის კლუბი) ბინაზე კომიტეტის დროებით თავმჯდომარე დ. ლუმბაძესთან და კლუბის ბუღალტერ კალატოზიშვილთან.

10—742—5

### საქართველოს ეროვნულ-დემოკ. პარტიის 2-ე უბნის კომიტეტი

გადავიდა ახალ ბინაზე, ფრეილინის ქუჩა № 12. ქართულ სათავად-აზნაურო ბანკის პირდაპირ. ღიაა ყოველ დღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდინ და საღამოს 7—9 საათამდინ, ვსთხოვთ წევრებს და თანამგრძნობელთ ამ დროს გამგეობაში მობრძანდნენ ხოლმე ცნობების მისაღებად, წევრებათ ჩასაწერად და ყოველ თვიური გადასახადის და შეწირულობის შემოსატანად.

10—755—3

### საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მე-8 და მე-9 უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ თანამგრძნობთა საყურადღებოთ, რომ პარტიის წევრათ ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე მესამე მომრიგებელ მოსამართლის ბინაზე (ტურგენევის ქუჩა, სახლი № 4) კომიტეტის მდივან ვ. ყიფიანთან.

751

მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ სა-პოლიტიკო და სალიტერატურო ქუთაისის გაზეთზე

1917 წ. **ჩვენი ქვეყანა** 1917 წ.

გაზეთის ფასი: წლიურათ 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 1 მან. და 50 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილადაც გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5, სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მანეთი და დანარჩენიც სეკტემბრის დამლევამდი.

რედაქციის მისამართია: ქუთაისი, თბილისის ქ. სოფ. მიქელაძის სახ., კანტორა ღიაა: დილით 9—2 საათ. და საღამ. 5—8-მდი.

რედაქტორი დ. კვირკველია.

## თელავში ვიყიდი

პატარა სახლებს ბაღით.

ცნობებით მიმართონ თელავშივე ელიზავეტოპოლის ქუჩაზე № 47.

1—698—1

## უნდათ პატარა მორგედი ქალი

12—15 წლისა, ბავშვისთვის ქართველ ოჯახში თელავში, ელიზავეტოპოლის ქუჩაზე № 47.

2—697—1

მაისის 7-დან გამოდის ქართველ სამხედრო პირების თანამშრომლობით გაზეთი

## „ჯარის კაცი“

გაზეთი წლის დამლევამდე ღირება 4 მან. 50 კაპ. ცალკე ნომერი 5 კაპ. წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: г. Тифлисъ. Редакція газ. „Джарисъ Каци“. Почтовый ящикъ № 190

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია სასახლის ქუჩაზე № 5 და ღია არის დილის 10—2 ს. და საღამოს 7—8 ს.

10—740—5 · რედაქტორ-გამომცემელი კ. ცქიტიშვილი.

## ქართველთა სამხედრო კავშირისა

მოუწოდებს ყველა ქართველ მეომარს (ჯარის-კაცებს, ოფიცრებს, სამხ. ექიმებს და მოხელეებს) ჩაეწერნენ აღნიშნულ კავშირში, რომლის მიზანია რუსეთის რევოლიუციის ხელის შეწყობა და საქართველოს ავტონომია. კომიტეტის ბინა მოთავსებულია ახალ კლუბის შენობაში (სასახლის ქუჩა). ცნობების მიღება შეიძლება „ჯარის კაცის“ რედაქციაში დილის 10—2 საათამდე და საღამოს 7—8-დე.

10—740—5 · კომიტეტი ქ. ს. კ.

ექიმი
### მ. ი. ზარნაძე
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ ავადმყოფებს ყოველ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ნიკოლსკის ქ. № 4. (თ.—202—)

ექიმი
### მ. ფ. მგალობლიშვილი
ქალებისა და საქირურგიო სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: ოლღის ქუჩა № 41, ზემო სართული, ტელ. 9—58.

ექიმი
### მ. გ. ვეშაპაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 5—8 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიუმის ქუჩა, № 19

ექიმი
### მ. შ. მუხაძე
იღებს ხალხოსნურ ავადმყოფთ საღამოს 5-6 ს.-მდე, კვირა დღეს გარდა.
მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი
### მ. დ. ნინამძღვრიშვილი
ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიული კლინიკებისა. შინაგანი სნეულებანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად იღებს საღ. 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა. ჰიმნელის პროს. № 36, მეორე სართული.

ექიმი ქალისა
### ე. ივ. გოლარჯიშვილი-მათეშვილისა
იღებს ავადმყოფებს: დილით 9—2 საათ. საღ. 5 7 საათ. ჩერქეზიშვილის და რუსთაველის ქუჩის კუთხე № 20.

ექიმი
### ე. ლ. შალამბერიძე
იღებს სხვებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 7.

ოდესის საქალაქო საავადმყოფოს ყოფილი ასისტენტი ექიმი
### კალანდარიშვილი
უმცროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებათ ავადმყოფებს იღებს
### მანგლისში
საკადეტო კორპუსის ბანაკში

## თბილისი, მკათათვის 4.

## მიწის გაყიდვის აკრძალვა

მიწის საკითხი ამ ჟამად მთელს რუსეთში ის მთავარი ღერძია ხალხის სოციალურ-ეკონომიური ცხოვრებისა, რომლის სამართლიანათ მოწყობაზეა უმთავრესად დამოკიდებული რევოლიუციის მშვიდობიანი დასრულება.

ამით აიხსნება ის გაფაციცებული ყურადღება, რომლითაც ექცევა ამ საგანს ხალხიც და მთავრობაც.

გუშინდელმა ტელეგრამამ გვაუწყა, რომ არც ერთს ნასყიდობას, საჯარო ვაჭრობას, გაჩუქებას ან მემკვიდრეობით გადაცემას მიწებისას, რასაც ადგილი ჰქონდა ამ წლის პირველ მარტს აქეთ, ძალა არ ექნება მიწის საკითხის საბოლოოთ გადაწყვეტის დროს დამფუძნებელ კრებაზე.

ამას გარდა დროებითი მთავრობას დაუდგენია, სანამ დამფუძნებელი კრების საკითხი გადაწყდებოდეს, შეჩერებულ უნდა იქმნას სასამართლოებში მიწის საქმეების ყოველივე წარმოება, გარდა იმ საქმეებისა, რომელნიც ექვემდებარებიან სენატის მეორე პარლამენტს

ამ ნაირათ დროებით მთავრობა წინასწარ ღონისძიებას ხმარობს მიწების შესახებ, რომლის საბოლოოთ გადაწყვეტას აკუთვნებს დამფუძნებელ კრებას.

ბუნებრივია, რომ რუსულ მიწების საქმე რუსის დამფუძნებელ კრებამ გადასწყვიტოს. ხოლო ჩვენი, ქართველების, ეროვნული ინტერესები არსებითად მოითხოვს, რომ ჩვენი მიწების საქმე გადაწყდეს ჩვენს საქართველოს ეროვნულ კრებაზე, რომელიც მოწვეულ უნდა იქმნას ჩვენგან ავტონომიის მიღებისთანავე ან და მანამდისაც.

ხოლო ეს იმედი და თვით მიწის საქმის სიდიადე და მრავალმხრივობა გვავალებს ახლავე შევუდგეთ ჩვენი აგრარული პროექტების გადახედვას, მისი ყოველივე წვლილის გადასინჯვას, როგორც პარტიულათ, ისე ინტერ-პარტიულადაც გლეხების წარმომადგენლების დასწრებით და შემდეგ ამისა საქმე გლეხთა საგანგებოთ მოწვეულ ყრილობაზე. ყველა ქართულ პარტიების მეთაურთა დასწრებით, აწონილ-დაწონილი და მოსაზრებული უნდა იქმნას. ასე დამუშავებული საკითხი წარედგინება საქართველოს დამფუძნებელ კრებას საბოლოოთ გადასაწყვეტათ.

ყველა ერი მიწით ერიანობს. ზოგიერთ ხალხს მიწა შეძენილი აქვს დიპლომატიით, ან ადლითა და ყანთრით და ხერხისა და ფულის მეტი არაფერი დაუხარჯავს მისს შესაძენათ.

ჩვენ კი, ქართველებს, ჩვენი სამშობლოს მიწა შეძენილი გვაქვს ოფლით, გაპოხიერებული ჩვენი სისხლითა და ძვლებით, მითი ვსაზრდოობთ და ვკოცხლობთ ხორციელად, მითი ვსუნთქავთ მორალურად. სხვა საქართველო არსად არის და ის დროც წავიდა, როცა სხვისი მიწების სხვა გზით შეძენა შეიძლებოდა. ამიტომაც ჩვენ ვერავის, თვით რუსის ხალხსაც კი, რომელმაც მოგვანიჭა მოქალაქობრივი თავისუფლება, ვერ დავუთმობთ უფლებას ჩვენს მიწაზე მოხმარებისა და ჩვენთვის უცხო მფლობელობის წესის დადგენისას.

## ქართული ბანკი

საქართველოს ეკონომიკას ახალი მომქმედი ძალა შეემატა. გაიხსნა ამიერ-კავკასიის სავაჭრო-სამრეწველო ბანკი.

საქართველოს ვაჭრობა-მრეწველობის აღმოცენებამ დიდი ხანია აუცილებელ ჰყო მოკლევადიანი კრედიტის ბანკის დაარსება, მაგრამ ჯერ 1905 წლის ჟანყმა და შემდეგ 1914 წლის ომმა დააგვიანა ქართველ კომერსანტთა საქმე და მხოლოდ დღეს, ამ გაზაფხულ რევოლუციის დროს გაიღო ბანკის კარები.

ახალი ბანკი ქართული ბანკია, თუმცა მას „ამიერ კავკასიის“ სახელი ეწოდება. ის სამი მილიონი, ბანკს რომ ძირს უმაგრებს, თითქმის სულ ქართველის ჯიბიდან და სკივრიდან არის ამოღებული; და ის ათ-ხუთმეტი კაცი, ბანკის საქმე რომ დაიწყო და ახლაც მას რომ მეთაურობს, თითქმის სულ ქართველებია.

ახალ ბანკს დიდი საქმე აქვს გასაკეთებელი. ვისაც უნდა ამტკიცოს კიდევ კაპიტალის კოსმოპოლიტობა, ჩვენთვის კი ცხადია რომ დღევანდელ ევროპისა და აზიის უსახელმწიფო და სახელმწიფოიანი ერის ინდუსტრია, კომერცია და კრედიტი ნაციონალიზაციის გზით მიდის. ამ გზას ვერც საქართველო აუვლის გვერდს და არც უნდა აუაროს. თუ კაპიტალიზაცია გარდუვალია, საქართველოს კეთილდღეობისათვის განა ის არ სჯობს, რომ უცხო ტომის ბურჟუაზიის, ვაჭრების, მრეწველების და ბანკირების ადგილი ისევ ქართველებმა დაიჭირონ და საქმის მოგების მეტი წილი მთლად საქართველოსათვის თუ არა, საქართველოში მაინც დაიხარჯოს?

დღევანდელი საქართველოს საწუხარი ის კი არ არის, რომ მართლაც ყველა ქვეყნის პროლეტარების შეერთებისათვის წილი გავიწყვიტოთ, არა ჩვენი ლოზუნგი უფრო ეგოისტურია: „ქართველების გამრავლება, განათლება და გამდიდრება!“

თუ ქართველი ერი თავის მეზობლებზედ მეტად არ გამრავლდა და თუ იგი მეტი კულტურული ძალღონით არ იქნა მოსილი,—ისე თავის ისტორიულ და ბუნებრივ მიწა-წყალს ვერ შეინარჩუნებს.

მაგრამ არც ერთი ერი არ მრავლდება და არც ნათლდება, თუ იგი ქონებრივად ღონიერი და მდიდარი არ არის.

აქამდის ჩვენში სიმდიდრის დანაწილებისათვის მეტი უფიქრიათ, ვიდრე შექმნისათვის. მხოლოდ ეხლა მკვიდრდება ნიადაგი საქართველოს საწარმოო ძალების განვითარებისა და გამდიდრებისა. ძველი ანდაზა, დიდ საქმეს დიდი ფული სჭირდებაო არასოდეს არ ყოფილა ისე ნათელი, როგორც ომისა და რევოლუციის დროს. დღეს რუსეთში მთელი ფინლანდიის ერი 150 მილიონად ჰყიდულობს თავისუფლებას რუსეთისაგან.

თავისუფლება რომ ფულით იშოვნება, ეს ძველ საქართველოსაც სცოდნია; მატიანეს გადმოცემით ფარნაოზმა საქართველო იმ განძით გაანთავისუფლა, რომელსაც იგი სიზმრის წყალობით წააწყდა.

მაგრამ ასეთი უფასო სიზმრები ჩვენი დროის ნერვებ აშლილ ისტორიას აღარ უყვარს და მით უფრო კარგია, როცა ეროვნულ მომქმედნეობით შეგროვილ დოვლათის და განძის სალაროს ჩვენ სიზმარში კი არა, ცხადლივ ვხედავთ.

გ. ვეშაპელი.

## ომი და ზავი

### დეპეშები

**მთავარბანაკის ცნობა.**

**პეტროგრადი.** მკათათვის 1. **დასავლეთის ფრონტი.** მოსცისკო და უგარტეტელის მხრიდან (მდ. დომინიცას მახლობლად) მტერმა ორჯელ შემოგვიტია. იგი მძლავრად შევეცადა კალუშიდან ჩვენების განდევნას, მაგრამ იმედი გაუცრუეთ. კალუშის ბრძოლის დროს გმირულად მოკვდა სატაგინსკის პოლკის უფროსი ტიმოფეევი. კალუშის სამხრეთ-დასავლეთით ბრძოლის შემდეგ ჩვენებმა სოფ. ნოვიცა დაიჭირეს. დანარჩენი ფრონტი უცვლელადაა.

**რუმინეთის და კავკასიის ფრონტი** უცვლელადაა.

**მფრინავთა მოქმედება.** დვინსკის სამხრეთის ტერმონტის სადგურს ჩვენი მფრინავები თავს დაესხნენ.

**პეტროგრადი.** მკათათვის 2. მდ. ლომნიცის ქვემო მიმდინარეობაზე სროლაა. კალუშის სამხრეთ-დასავლეთით დობროვოლიანისა და ნოვიცის ფრონტზე მტერმა რამდენჯერმე მოიტანა იერიში, მაგრამ მაინც მოვიგერიეთ. ამ რაიონებში ბრძოლის დროს ჩვენ ტყვედ დაგვრჩა 16 ოფიცერი და 600-ზე მეტი ჯარის კაცი. ლეზიანის რაიონში ჩვენებმა ავსტრიელების 1000 ტყვე და ერთი ტყვიისმფრქვეველი ჩაიგდეს ხელში. პერეჰინსკოსთან, მდ. ლომნიცის ფონთან მტერი ძლიერ შემოტევას აწარმოებს. სლიკასა და იასელის ფრონტზე ჩვენს შეტევებს მტერი დიდს წინააღმდეგობას უწევს. დიდ წვიმების გამო ადიდებულმა ლომნიცამ და დნესტრმა გზები გააფუჭეს. დანარჩენი ფრონტი უცვლელადაა.

**რუმინეთის ფრონტი** უცვლელადაა.

**კავკასიის ფრონტი.** ვანის მიმართულებით ჩვენმა მზვერავებმა მტრის მოდარაჯენი განდევნეს. მდ. არიგდარასის მარცხენა ნაპირზე, ვასტანის დასავლეთით 10 ვერსზე ჩვენმა მოწინავებმა სერდშეტის რაიონიდან და ვანის სამხრეთ აღმოსავლეთით 20 ვერსზე მდებარე სიმაღლიდან თურქები განდევნეს.

**შავი ზღვა.** ბოსფორის რაიონში ჩვენმა წყალქვეშამ ორი დატვირთული ზხუნა ჩასძირა.

**ბრიტანეთის ბანაკის ცნობა.**

**ლონდონი.** თიბათვის 29. ოფიციალი. ლომბარჟზიუდეს სამხრეთით მტრის შემოტევა მოვიგერიეთ. დანარჩენი ფრონტი უცვლელადაა.

**ჰაეროპლანების მოქმედება**

**ლონდონი.** თიბათვის 29. სამინისტრო იუწყება: თიბათვის 19 ღამით ჩვენ საზღვაო ჰაეროპლანებმა გისტელოში, ნეიმინსტერში მტრის ჰაეროპლანებს ყუმბარები დაუშინეს. ყუმბარები დაუშინეს აგრეთვე ოსტენდეში საავიაციო სადგურს და რეიმში მატარებელს. ჰაეროპლანები მშვიდობიანად დაბრუნდნენ.

**ლონდონი.** მკათათვის 1. ოფიციალი. თიბათვის 28 ღამით მტერმა ჯერ არ ნახული მკაცრი საჰაერო ბრძოლა გაგვიმართა. ამ უმაღლეთო საჰაერო ბრძოლაში ჩვენ გამარჯვებულნი გამოველით. ჩვენმა მფრინავებმა მტრის 14 ჰაეროპლანი დააზიანეს და აიძულეს დაბლა დაშვებულიყვნენ.

**ლონდონი.** თიბათვის 30. ოფიციალური. წუხელის გიულ-ლიუხის სამხრეთით და იპრის სამხრეთ-აღმოსავლეთით მტრის თხრილებს დავეცით თავს და რამდენიმე ტყვე წამოვიყვანეთ. იპრ-კომინის არხის მახლობლად, გავრელლის სამხრეთ-აღმოსავლეთით და ნიუპორტის აღმოსავლეთით მტერს გზა გადავუჭერით.

**ლონდონი.** მკათათვის 1. საამირალო ცნობა: თიბათვის 28 ღამით ჩვენმა საზღვაო მფრინავებმა ერტიკის, გუსტიავეს, ნევმინსტერის და გისტელლის ჰაეროდრომებს ყუმბარები დაუშინეს. ყუმბარებს უშენდნენ აგრეთვე სადგურ ტურუს სამხრეთით რკინის გზის კვანძს და ბრიუგის არხის ნაპირას მდებარე ყუმბარების საწყობს და ოსტენდეს სამხრეთით რკინის გზის კვანძს. მფრინავები უვნებლად დაბრუნდნენ.

### საფრანგეთის ბანაკის ცნობა

**პარიზი.** თიბათვის 30. ოფიციალური. სენ-კანტენის სამხრეთ-აღმოსავლეთით და ფილენის სამხრეთით მძლავრი საარტილერიო მოქმედებაა; განსაკუთრებით კი ლარუაიერთან, არგონის ტყეში და მაასის ორთავე ნაპირზე. გერმანელები რეიმსს ყუმბარას უშენდნენ ქალაქის საზღვარზე 1600 ყუმბარა ჩამოვარდა.

**ბრძოლა ჰაერში.** თიბათვის 25-დან 27-მდე ჩვენს ფრონტზე გერმანელების 10 ჰაეროპლანი ჩამოვაგდეთ. 8 მათგანი საჰაერო ბრძოლით და 2 ტყვიის მფრქვევლებით. ამათ გარდა 8 მეტად დაზიანებული ჰაეროპლანი მათთავე ფრონტზე ჩამოვარდა.

**პარიზი.** ახლო აღმოსავლეთი. დოირანის ტბის აღმოსავლეთით პოპოვის მიმართულებით ბრიტანელების ასპარეზს თავს დაეცა. დანარჩენ ფრონტზე სიწყნარეა.

**პარიზი.** თიბათვის 29. (დაგვიანებულია). დღის ოფიციალური. აილეს, პანთეონის და მარონვილეს რაიონებში საარტილერიო ბრძოლა გაცხოველდა.

**ახლო აღმოსავლეთი.** მტრის ჰაეროპლანები მედგრად უშენდნენ სად. ანგისტას სერესიდან 30 ვერსის მანძილზედ. ვარდარის ასპარეზზე მცირე ბრძოლაა. გერმანელთა პილოტი და ავიატორი დავატყვევეთ.

### ბელგიის ბანაკის ცნობა

**ჰავრი.** თიბათვის 30. ოფიციალური. მთელ ღამის განმავლობაში გაცხარებული მტერი სტეენსტრეტეს რაიონს უშენდა ტყვიას. დღისით—არტილერიის ჩვეულებრივი მოქმედება სწარმოებდა.

**ჰავრი.** თიბათვის 29. დღის ოფიციალური. ჩვენი რაზმი მტერს დიქსმიუდესთან შეეჯახა. გერმანელები გაიქცნენ და ტყვეები დაგვინარჩუნეს.

### იტალიის ბანაკის ცნობა

**რომი.** თიბათვის 29. ოფიციალური. ტრაფინოლოში ენერგიულ შეტევის შემდეგ მტრის რაზმი გავფანტეთ. ღამე კოლბრიკონოს მეორე სიმაღლეს მიაღწიეს. დანარჩენ ფრონტზე არტილერიის სუსტი მოქმედებაა.

**რომი.** მკათათვის 1. ოფიციალური ჩვენმა არტილერიამ პიაცო-პედრაცოდან ტერანიოლოს ღელეში მიმავალ მტრის ქვეითა რაზმებს სროლა აუტეხა. აგრეთვე ინდრიის ღელეში მიმავალ მატარებელს კარგახან უშენდა ტყვიას. ვალდარსოში მტერმა რამდენჯერმე დაუწყო სროლა ერთ ჩვენს გოსპიტალს. სიფას რაიონში ჩვენი რაზმი თავს დაეცა მტერს და უკუაქცია.

### არაბების მოქმედება.

**ლონდონი.** თიბათვის 29. თემთა პალატაში სამხედრო მინისტრმა კფერსონის თანაშემწემ გეჯასის სელთნის მოქმედებაზე განაცხადა: მათი ადგილები ტაფილეი და აკაბოი არაბებს უჭირავთ. თურქებს მოუკლეს 700 და 600 ტყვედ წაიყვანეს. ერთი თურქების ბათალიონი მთლად გაჰფანტეს და თიბათვის 19 გეჯასის რკინის გზა რამდენიმე ალაგას გააფუჭესო.

### მოკავშირე მთავრობათა კონფერენცია

**ლონდონი.** თიბათვის 26. როგორც ხმები დადის. მოკავშირეთა მთავრობას განზრახვათ კონფერენციის მოწვევა პარიზში სამხედრო და საპოლიტიკო კითხვების შესახებ, რომელნიც ბალკანეთის საქმეს შეეხებიან.

### საბერძნეთის ელჩის წასვლა ბულგარეთიდან.

**სტოკჰოლმი.** თიბათვის 29. ბულგარეთის სააგენტო იტყობინება: თიბათვის 27 საბერძნეთის ელჩი მთელი მისიით ბულგარეთიდან წავიდაო. ამ ჟამად ბულგარეთში მხოლოდ ოციოდე ბერძენია დარჩენილი.

### რიბოს განცხადება.

**პარიზი.** თიბათვის 28. რიბომ (?) სენატის კომისიაში განაცხადა: „ჩვენ უფლება გვაქვს ელზას-ლორენის ძალით წართმევისა. პლებისციტის ნებას არავის მივცემთო.

### ბერლინის კრიზისი.

**სტოკჰოლმი.** მკათათვის 1—ბერლინიდან დეპეშით იუწყებიან. კრიზისი გრძელდება. იმპერატორის ბრძანებით—ჰინდენბურგი და ლიუდენდორფი ბერლინში ჩავიდნენ.

### აფეთქებული გემი.

**ლონდონი.** მკათათვის 1. ოფიციალად იტყობინებიან: თიბათვის 26—ს ღამით გემ „ვანგარდის“ აფეთქება მოხდა. გემი ჩაიძირა. გადარჩა სამი კაცი.

### დატვირთულ შხუნის დაღუპვა.

**სევასტოპოლი.** თიბათვის 29. (დაგვიანებულია) ჩვენმა გემმა ჩაძირა ოსმალოების დიდი შხუნა. შხუნას სამხედრო ტვირთი უნდა გაეტანა კონსტანტინეპოლში. შხუნაზე მყოფნი ნაპირზე გავიდნენ.

### ტვირთის გადმოზიდვის შეფერხება ინგლისიდან

**პერმი.** თიბათვის 30. წყლის დაპატარავების გამო არხანგელსკში, პერმში და ნიჟნი ნოვგოროდში ვერ მოხერხდა 20 მილიონ ფუთის ტვირთის გადმოტანა ინგლისიდან.

### ჯარის უწესოება.

**პეტროგრადი.** მკათათვის 1. გუშინ ღამით ჯარისკაცებმა თავდასხმით გატეხეს სპირტის ცისტერნა. არეულობის დროს ვიღამაც რევოლვერი ესროლა ჯარისკაცებს. ეშელონს ეგონა რომ მას ესროლეს, თავის მხრითაც ასტეხა სროლა. მოკლულია ერთი უცნობი, რომლის ჯიბეშიც ორი რევოლვერი იპოვნეს.

# რევოლუცია

## დეპეშები

### რუსეთის სესხი ფინეთში

**ჰელსინგფორსი.** თიბათვის 30. სეიმის სხდომაზე 350 მილიონ მარკის რუსულ ვალიუტიან სესხის საკითხი განიხილეს. საფინანსო კომისიამ ასეთ სესხზე უარი გამოსთქვა. მისი აზრით, რადგან სესხი შეიარაღების საჭიროებისა თვის აქვთ დანიშნული, მიმდინარე კურსით რუსულ ვალიუტაზე გასაცვლელად, ფინეთის ბანკს მხოლოდ 100 მილიონი მარკა მიეცესო. სხვა და სხვა პარტიის ორატორები ამ აზრს მხარს უჭერდნენ. საკითხის განხილვამ დიდხანს გასტანა.

### ბოლშევიკების წინააღმდეგ

**პერმი.** თიბათვის 29. როდესაც გამოირკვა, რომ ბოლშევიკები სადემონსტრაციოდ ემზადებიანო, ყველა პოლიტიკურმა პარტიამ მონაწილეობაზე უარი განუცხადეს. ამისდა მიუხედავად თიბათვის 25 ბოლშევიკები მაინც შეეცადნენ თავიანთ განზრახვის სისრულეში მოყვანას. ხალხმა და ჯარმა მათ დიდი წინააღმდეგობა გაუწია. დაუფხრიწა დროშები. შეურაცხყოფა მიაყენა ორატორებს და წესრიგის აღსადგენად საგანგებოდ ჯარი გამოიწვია. გამოძიება სწარმოებს.

### გადასახადი ქონებაზე

**პეტროგრადი.** თიბათვის 30. ფინანსების მინისტრის თავმჯდომარეობით მომხდარ ბჭობამ ქონებაზე გადასახადის შემოღება გამოსთქვა. გადასახადს ქონების ღირებულების 0,1%-დან 0,5%-დე ასახელებდნენ. ის შემოსავლიანი ქონება, რომელიც 10000 მანეთზე მეტი არა ღირს გადასახადს არ იხდის. აგრეთვე 20000 ღირებულობის უშემოსავლო ქონება. გადასახადს საშინაო მოწყობილებას, ხელოვნებას და სამეცნიერო საგნებს არ შეაწერენ.

### თავისუფლების სესხი

**პეტროგრადი.** თიბათვის 30. მაისის 6-დან თიბათვის 29-დე თავისუფლების სესხმა 1.422.000.000 მანეთამდე მიაღწია.

### დოცენტების თანამდებობა

**პეტროგრადი.** მკათათვის 1. მთავრობამ გადასწყვიტა, რომ ყველა რუსულ უნივერსიტეტებში დოცენტების თანამდებობა დაარსოს. ამ თანამდებობაზე მიიღებენ დოქტორის, მაგისტრის ან და პრივატ-დოცენტის ხარისხიანებს.

### რუსეთის დელეგაცია ფინეთში

**ჰელსინგფორსი.** თიბათვის 29. ჩხეიძის მეთაურობით პეტროგრადის დელეგაციამ ფინეთის სეიმის დეპუტატებთან ბჭობა იქონია. უმთავრესი საგანი მათ აზრების გაცვლა-გამოცვლისა ეს სავალიუტო საკითხი და ფინეთის დამოუკიდებლობა იყო. მოლაპარაკების შედეგებს დელეგაცია დროებით მთავრობას გადასცემს. ფინლები მზად არიან დაუყოვნებლივ 15 მილიონიან სესხზე და ამის გარდა მოკლე ვადით 110 მილიონზედაც ჰყაბულდებიან. რუსეთში ნაყიდ ხორბლისა და ფქვილისას ფინეთის ბანკი 68 მილიონს გადასცემთ. ამით დროებით დაკმაყოფილებული იქნება ფინეთის ვალიუტის დიდი საჭიროება. სხდომის შემდეგ დელეგატებმა გენერალ-გუბერნატორი ინახულეს. პეტროგრადს ღამე გამოემგზავრნენ.

### სტოკჰოლმის კონფერენციისათვის მზადება.

**პეტროგრადი.** თიბათვის 30. პეტროგრადის მუშ. და ჯარ. დეპ. საბჭოს საერთაშორისო განყოფილებამ სტოკჰოლმს სამშვიდობო სოციალისტურ კონფერენციაზე მონაწილეობის მისაღებად გაგზავნილ დელეგაციისაგან ცნობა მიიღო. პირველ დღეს დელეგატებს ბჭობა ციმერვალდელებთან ჰქონიათ. დელეგაციამ ციმერვალდელების საკონფერენციო სამზადისში მონაწილეობაზე უარი განაცხადა, ვინაიდან მას საერთო კონფერენციის მომზადება აქვს დავალებული. ბჭობას გადაჭრილი პასუხი არ გამოუტანია. საბჭოს კომიტეტმა საერთო ზავის პირობების შემუშავება სთხოვა. დელეგაციამ არ მიიღო თხოვნა. დელეგაციამ კომისიის სხდომაზე განაცხადა, რომ ციმერვალდელების გაერთიანებულ პარტიიდან საბჭოს კონფერენციაზე მრავალი მიიღებს მონაწილეობას. ბალაბანოვმა უარი განაცხადა (მონაწილეობაზე?) გადაჭრილი პასუხი არ მიგვიღია.

### საგუბერნიო კომისარები.

**პეტროგრადი.** თიბათვის 30. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ საგუბერნიო კომისრებად დანიშნულ არიან: ვლადიმირისა—გრატენში, ორენბურგისა, არხანგელსკისა და სმოლენსკისა—ეფიმოვი.

### შნეიდერი—პეტროგრადის ქალაქის თავი.

**პეტროგრადი.** თიბათვის 30. პეტრეს ქალაქის თავად ამორჩეულია ს. რ. შნეიდერი. შნეიდერი ყოფილი რედაქტორი „სინ ოტეჩესტ“-ასი.

### დასავლეთ ასპარეზის კომისარი.

**სარატოვი.** თიბათვის 30. მოვიდა დასავლეთ ასპარეზის კომისარი სტანკევიჩი და მონაწილეობა მიიღო საფრონტო ყრილობაში.

### ჯარისკაცთა უწესოება.

**პეტროგრადი.** თიბათვის 30. რიგა-ორლოვის რკინის გზიდან იუწყებიან: თიბათვის 30 სამარშო ეშელონის ჯარისკაცები თავს დაესხნენ ვაგონებს დაამტვრიეს, დაიტაცეს აუარებელი კვერცხი, კონსერვი, თევზი—შემდეგ აპირებდნენ სპირტის ვაგონების გაძარცვასაც, მაგრამ პატრულებმა არ გაუშვეს. სად. ოროლის კომენდანტს დეპეშით სთხოვა შემწეობა.

### ქალაქის კრიზისი.

**ტაგანროგი.** თიბათვის 29. ქალაქის თვითმართველობა მწვავე საფინანსო კრიზისს განიცდის. შემოსავალი არ შემოდის. მოსამსახურეების გასასტუმრებელი ფული კასას სრულებით არ გააჩნია.

### აჯანყებულ მე-5-ე ლაშქრის დამშვიდება.

**პეტროგრადი.** მკათათვის 1. სამხედრო მინისტრის ცნობით, მე-5-ე ლაშქრის არეულობა შეწყვეტილად უნდა ჩაითვალოს. შეიპყრეს ორი დივიზია ერთში წესრიგი კომისარ-პორუჩიკ მაზურენკომ აღადგინა და მეორეში—აღმასრულებელ კომიტეტის წევრმა კოლეროვმა, ჯარის ნაწილებს წინააღმდეგობა არ გაუწევიათ, პოლკები გვნებდებოდნენ. ის ჯარისკაცები ვინც ისევ ძველ გზას ადგნენ და წინააღმდეგობის გაწევას შეეცადნენ, შევიპყარით. საქმის გამოსაძიებლად საგანგებო ცენტრალი კომისია დაარსდა. საქმე კარგად მიდის, მალე ჯარი მთლად დამშვიდდება. კოლეროვს ბუჩქებიდან ორჯერ ესროლეს თოფი მაგრამ ვერ მოარტყეს. ჯარის უფროსის თანხმობით კომისარმა მაზურენკომ 4 დღის განმავლობაში ლაშქრის აღმასრულებელ კომიტეტის ნებადაურთველად მიტინგები და ყრილობა აკრძალა. მაზურენკომ მოწოდებაც გამოსცა. იგი მოუწოდებს ჯარისკაც ოფიცრებს მტკიცედ გაერთიანებს სამშობლოს ვალის პირნათლად აღსრულებისათვის. უკვე თითქმის დამტკიცებულია, რომ ჯარისკაცებს გერმანელების აგენტები და პოლიციის ყოფილი მოხელეები ასისინებდნენ.

### დაჭრილ დასახიჩრებულ ჯარისკაცთა შემწეობის ყრილობა.

**პეტროგრადი.** მკათათვის 1. დღეს გათავდა დაჭრილ-დასახიჩრებულ ჯარისკაცთა შემწეობის ყრილობა. გამოტანილია რამდენიმე რეზოლუცია. გადაწყვეტილია, ყველა დასახიჩრებულს, რანგის განურჩევლად მიეცეს წლიურად 2.400 მანეთი. მიეცეთ მიწა უფასოდ, რამდენსაც კი გადასწყვეტს მათთვის დამფუძნებელი ყრილობა. საჭიროა დაარსდეს შრომის ბიურო, საჭიროა დაზღვეულ იქმნას დაჭრილ-დახოცილთა და უკვალოდ დაკარგულთა ოჯახები.

### ხალხის თავისუფლების პარტიის საოლქო ყრილობა.

**კიევი.** თიბათვის 29. დაიწყო ხალხის თავისუფლების პარტიის საოლქო ყრილობა; დაესწრნენ დელეგატები—პოდოლის, ვოლინის, პოლტავის, ჩერნიგოვის და კიევის გუბერნიებისა.

### დამფუძნებელ ყრილობის სამზადისში.

**პეტროგრადი.** მკათათვის 1. დამფუძნებელ ყრილობის საქმეთათვის დაარსებულ საგანგებო საბჭო ამ დღეებში გადასინჯავს არჩევნების საქმეს ფლოტში და ლაშქარში. ამ საკითხის შესახებ დადგენილებანი ჯერ არ გამოუტანიათ.

### საერობო მოსამსახურეთა ყრილობა

**მოსკოვი.** თიბათვის 29. დაიწყო სრულიად რუსეთის საერობო მოსამსახურეთა ყრილობა. ყრილობაზედ 200 დელეგატი გამოცხადდა.

### დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის კომისრები

**პეტროგრადი.** მკათათვის 1. დასავლეთ ფრონტის მთავარსარდალთან კომისრად სამხედრო მინისტრის კაბინეტის საპოლიტიკო განყოფილების უფროსი სტანკევიჩი დაინიშნა. სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის მთავარსარდალთან დროებით მთავრობის სამხედრო კომისრად კი—მე-6-ე და მე-7-ე ლაშქრის კომისარი სავინკოვი.

### ინსტრუქტორების კურსები

**მოსკოვი.** მკათათვის 1. მკათათვის 5-ს მოსკოვში საზემო ერობის, ქალაქების საბჭოების და დამფუძნებელ კრების საარჩევნოდ ინსტრუქტორების მოკლე ვადიანი კურსები დაარსდება.

### შეინახეთ ტომრები

**პეტროგრადი.** მკათათვის 1. სურსათ-სანოვაგის მინისტრი საზოგადო ფრონტის ორგანიზაციებს და კერძო პირებს ტომრების შენახვასა სთხოვს. რადგან 1917 წლის მოსავლისათვის 200 მილიონი ტომარა იქნება საჭირო.

### სწავლა-განათლების სახელმწიფო კომიტეტის სხდომა.

**პეტროგრადი.** მკათათვის 1. მოხდა სწავლა-განათლების სახელმწიფო კომიტეტის სწრაფი სხდომა. მიიღეს რეზოლუცია, რომლითაც კომიტეტის მოქმედება დროებით უნდა შესწყდეს. ასევე უმოქმედოდ უნდა დარჩეს კომიტეტის კომისია. რეზოლუცია მოითხოვს მარიამობისთვეში სრულიად რუსეთის სახელმწიფო ბჭობას.

## ეროვნული საკითხი

### მინისტრები უკრაინულ რადაში.

**კიევი.** თიბათვის 30. წერეთელმა, ტერეშჩენკომ და კერენსკიმ უკრაინელთა რადა ინახულეს და დახურულ სხდომაზე უკრაინის საკითხის გამო მსჯელობა იქონიეს.

### კერენსკი კიევში.

**კიევი.** მკათათვის 1. სამხედრო-საზღვაო მინისტრმა კერენსკიმ სასურსათო კომიტეტი დაათვალიერა. თავმჯდომარის სამ სუხო სიტყვის შემდეგ, უკრაინელ გლეხებს, რომელთაც ერთგულება შეჰფიცეს—შემდეგი სიტყვით მიჰმართა: „ამხანაგებო და მოქალაქენო! მე მიხარიან, რომ ასპარეზზე დაბრუნებისას, იქ გადავცემთ უკრაინის სალამს. უმეტესად მახარებს მისალმება უკრაინულ ენაზედ წარმოთქმული. 200 წელიწადია თქვენი ენა ულმერთოდ და უსამართლოდ იდევნებოდა. ახლა კი თავისუფლების ხანაში ავტონომიის წყალობით უკრაინაც შევა იმ ბედნიერს ოჯახში, რომელსაც შეჰქმნის ფედერატიული რესპუბლიკა. მე ვიმედოვნებ, რომ როგორც ბრძოლის ველზე, ისე პირუკან ყველა გავერთიანდებით რუსეთის დასახსნელად. ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ ეს სტიქიური აღფრთოვანება უმეტესად უკრაინის ერს მოედება. გაჰგზავნეთ სანგრებში თქვენი შვილები, მოგვაშველეთ პური, იყავით ჩვენთან რათა არ გაიძახოდნენ რომ ზურგს უკან გვყავნო იუდა-მოღალატენი, რომელნიც დალატის ხანჯალს გვცემენ ქურდულად და აქრობენ რევოლუციის ბრწყინვალე ლამპარსო! იმ იმედით, რომ თქვენ ბრძოლის ველზე მალე შეჰხვდებით თქვენი მოძმეთ აღფრთოვანებით ვამბობ:

გაუმარჯოს თავისუფალს, გაერთიანებულს უკრაინას, რომელიც მჭიდროდ შეკავშირებულია თავისუფალ რუსეთთან.

### ცენტრალი რადა.

**პეტროგრადი.** მკათათვის 1. ჩამოვიდა საშინაო საქმეთა მინისტრი ნეკრასოვი, რომელმაც განუცხადა ჟურნალისტების კომიტეტის თანამშრომლებს, რომ უკრაინის ცენტრალი რადა, სრულებითაც არ ესწრაფვის რუსეთიდან გამოყოფასო.

## გაზეთებიდან.

### სრულიად ციმბირის სათათბირო.

ტომსკის გუბერნიის სახალხო ყრილობამ დაადგინა:—რადგანაც ციმბირი თავის არსებითი და ეთნოგრაფიული პირობებით ძლიერ განსხვავდება ევროპის რუსეთიდან, ამიტომ მან უნდა მიიღოს ფართო თვითმართველობა. ციმბირს უნდა ქონდეს თავისი საკუთარი რესპუბლიკა, რომელიც გამოსცემს ციმბირისათვის კანონებს. საერთო სახელმწიფოებრივ საკითხებში ციმბირი დაემორჩილება რუსეთის კანონებს.

# პოლიტიკური მომენტი*)

(დასასრული)

გადამწყვეტ წუთში აღმოჩნდა, რომ ჩვენი ერი ჯერ კიდევ დაქსაქსულია, რომ ჩვენს სამშობლოს ბევრი მტრები და ცოტა მეგობრები ახვევია. ჩვენ რომ უკრაინელების მსგავსი საკუთარი ეროვნული ყრილობა ან მით უმეტეს დამფუძნებელი კრება მოგვეწვია, თვით ქართველი ხალხის უდიდესი ნაწილი არავითარ მონაწილეობას არ მიიღებდა არჩევნებში, ხოლო ყრილობას ხიშტების ჯაგარზე მოუხდებოდა დაჯდომა. ეს საშინელს დემორალიზაციას შეიტანდა ჩვენს რაზმებში და დიდის ხნით შეასუსტებდა ეროვნულ მოძრაობას. ჩვენ წინააღმდეგი ვართ პოლიტიკური ავანტიურიზმისა, ჩვენ წინააღმდეგი ვართ პოზიციების დაპყრობისა ფანტაზიაში. ამიტომ დღესდღეობით უარვყავით საკუთარი დამფუძნებელი კრების მოწვევის იდეა, თუმცა ეს იდეა თავისთავად სრულიად საღი და სამართლიანი და შეიძლება ხვალახლა გამოგვადგეს თუ ძალთა განწყობილება ჩვენდა სასარგებლოდ შეიცვალა. ეს ცვლილება ძალთა განწყობილებაში სამი სხვა და სხვა მხრით არის შესაძლებელი და მოსალოდნელი. უწინარეს ყოვლისა ჩვენი საკუთარი ეროვნული ძალა გაათკეცდება თუ ქართულ პოლიტიკურ პარტიებს შორის შეთანხმება მოხდა თვითმართველობის პრინციპის ნიადაგზე. მეორე მხრივ ჩვენ შეგვიძლია შევუთანხმდეთ და შევუკავშირდეთ კავკასიისა და რუსეთის ჩაგრულ ერებს, რომელთა ინტერესი სახელმწიფოებრივ დეცენტრალიზაციას მოითხოვენ. და ბოლოს ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ ზოგიერთი საერთაშორისო ფაქტორი, რომელიც ეწინააღმდეგება გაბატონებული რუსის ხალხის მიერ პატარა ერების გათქვეფას და განადგურებას. თუ ჩვენ ეს სამი კონცენტრიული ძალა, ქართული, რუსული და საერთაშორისო წინდახედულად და გონიერად გამოვიყენეთ, საქართველოს დამფუძნებელი კრებისა და თვითმართველობის იდეას მტკიცე საფუძველი მიეცემა. ყოველს შემთხვევაში მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ არ არსებობს: უფლება თვინიერ ძალისა.

დროებითი მთავრობის პოლიტიკაში ეროვნულ საკითხს გარდა ჩვენთვის ომისა და ზავის საკითხს ჰქონდა პირველი ხარისხოვანი მნიშვნელობა. ცნობილია რომ პირველი შემადგენლობის მთავრობა იდუმალ იმპერიალისტურ პოლიტიკას აწარმოებდა მილიუკოვისა და გუჩკოვის მეთაურობით. ამ პოლიტიკის მიზანი კონსტანტინეპოლის და სრუტეების დაპყრობა იყო მაგრამ პირდაპირი გზა პეტროგრადიდან კონსტანტინოპოლისკენ საქართველოს მიწა წყალზე მიდის, ამიტომ რუსეთის იმპერიალისტები ყველაზე გვიან საქართველოს თვითმართველობას დასთმობენ. მათი გამარჯვება ჩვენი სამშობლოს დაღუპვა იქნებოდა: ისინი ეცდებოდნენ შავი ზღვის განაპირა საქართველოს გაკაფვას რუსი ემიგრანტების დასასახლებლად, როგორც ეს ჩერქეზეთში და აფხაზეთში მოხდა ნახევარი საუკუნის წინათ. ამიტომ ჩვენ სიხარულით შევხვდით მთავრობის იმპერიალისტური პოლიტიკის დამარცხებას და განსაკუთრებით მილიუკოვისა და გუჩკოვის გადადგომას: ჩვენ ქართველი ხალხის უსასტიკეს მტერს გამოვეთხოვეთ.

ახალი შემადგენლობის დროებითი მთავრობა საბოლოოდ მიემხრო უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის იდეას, რომელიც პირველად სოციალისტურმა დემოკრატიამ წამოაყენა რუსეთში. ქართველი ხალხი არც სხვის ჩაგვრას საჭიროებს, არც სხვის მიწა-წყალს, ხანგრძლივი მსოფლიო ომის მიერ კი უზომოთ იტანჯება. ამიტომ უკონტრიბუციო ზავის იდეას არსად არ უპოვნია ისეთი ნოყიერი ნიადაგი როგორც საქართველოში. ჩვენ მას გულწრფელად მივემხრეთ არა მარტო დემოკრატიული არამედ ეროვნული მოსაზრებითაც. მაგრამ უანექსიო და უკონტრიბუციო ზავი რასაკვირველია იმას არ ნიშნავს, რომ ძველი სახელმწიფო საზღვრები სრულიად ხელუხლებელი დარჩება. დღეს თითქმის საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ძველი სახელმწიფო საზღვრების გასწორება უნდა მოხდეს ეთნოგრაფიული მიჯნების მიხედვით. ამას მოითხოვს ეროვნული თვითგამორკვევის იდეაც. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ მომავალი სამშვიდობო კონფერენცია უკან დაგვიბრუნებს ოსმალეთის საქართველოს პროვინციებს—ლაზისტანსა, ისპირსა და თორთუმს და ამგვარად ჩვენ გაჩეხილს ეროვნულს სხეულს ხელახლა გაამართლებს. მაგრამ მომავალი საზავო კონფერენციისაგან ჩვენ მოვითხოვთ არა მარტო ჩვენი საზღვრების, არამედ ჩვენი უფლების აღდგენასაც. საბედნიეროდ საქართველოს საკითხი ბოლო დროს აღარ არის მარტო რუსეთის შინაური საკითხი: ის საერთაშორისო საკითხად იქცა. არას ვიტყვით იმაზე, რომ დღეს ორივე მეომარი მხარე ჩაგრული ერების უფლებებზე ლაპარაკობს თავგამოდებით. საქართველოს აღდგენას ზოგიერთი ევროპიული სახელმწიფოს ნათლად შეგნებული ინტერესი მოითხოვს. ამ მხრივ დიდი განსხვავება არ არის ბელგიასა, სერბიასა, მთაშავეთსა და საქართველოს შორის. ამიტომ თავის თავად იგულისხმება, რომ ჩვენმა სამშობლომ თავისი წარმომადგენლები უნდა გაგზავნოს მომავალ საზავო კონფერენციაზე.

დროებითი მთავრობის გზა ჩქარა გათავდებ, მის ადგილს დამფუძნებელი კრება დაიჭერს. როგორც ხალხის სუვერენობის გამომხატველი დაწესებულება, დამფუძნებელი კრება სრულის უფლებითა და სრულის ნდობით იქნება აღჭურვილი. მას შეეძლება იმის მოცემაც რაც არ შეეძლო ან არ უნდოდა დროებითს მთავრობას ჩვენ დარწმუნებულნი ვართ რომ ის სამოქალაქო უფლებების მაქსიმუმს მოგვცემს. ეს ძლიერ ბევრია რასაკვირველია, მაგრამ ეს არ კმარა. დამფუძნებელ კრებაში ჩვენ უნდა წარვსდგეთ არა მარტო როგორც მოქალაქენი არამედ როგორც მამულიშვილნი. პროპორციული ხმის უფლება, ამის შეძლებასაც გვაძლევს. ჩვენს პარტიას აუცილებლად თავის წარმომადგენლებიც ეყოლება დამფუძნებელს კრებაში. რასაკვირველია იქ ბრძოლა მოგველის, შეიძლება დამარცხებაც, მაგრამ პერსპექტივამ არ უნდა დაგვაღონოს. ძლიერი არსებისათვის ბრძოლა მოთხოვნილებაა, სუსტისათვის კეთილისმყოფელი სკოლა. დამფუძნებელს კრებაში ჩვენ პირისპირ შევხვდებით ჩვენს მოწინააღმდეგებს და ჩვენს მეგობრებს და თუ ჩვენი მოთხოვნილებები ვერ განვახორციელეთ, ჩვენს ილუზიებს მაინც გამოვეთხოვებით.

გერონტი ქიქოძე.

*) იხ. გაზ. „საქართველო“ № 142.

# ფინეთის დამოუკიდებლობა

**სეიმის უფლება კანონპროექტის მესამე წაკითხვა.**

**ჰელსინგფორსი.** თიბათვის 29. სასეიმო წრეების ცნობით სეიმის უმაღლეს უფლებათა კანონპროექტის მესამე წაკითხვა შაბათიდან სამშაბათისთვის გადაიდო. ფინეთის დემოკრატიის ძალდატანებით შაბათს მესამე წასაკითხად რვა საათის სამუშაო დღის პროექტი დაინიშნა.

**ჰელსინგფორსი.** თიბათვის 30. ფინეთის დამოუკიდებლობის შესახებ სეიმში მიღებულ პროექტის ბედი ჯერ არ გამორკვეულა. ფინეთის მმართველი წრეები სცდილობენ, რომ მიმდინარე საქმეებზე გადაჭრით, ყველას გასაგონად არ გამოსთქვან თავთავიანთი აზრი. არსებულ კანონების მიხედვით, სეიმის უმაღლეს უფლებათა დასამტკიცებლად კენჭის მესამედ ყრის დროს პროექტს უმრავლესობამ (⁵/₆) მხარი უნდა დაუჭიროს. ჰგონიათ, რომ სოციალ-დემოკრატები კონსტიტუციის კანონებს ყურადღებას არ მიაქცევენ და კანონს ხმის უბრალო უმეტესობით გაიყვანენო. მმართველ წრეების ზოგიერთი პირი სცდილობს, რომ საკითხის განხილვა უფრო შეაფერ მომენტისათვის გადაადებინონ.

# რუსეთი და უცხოეთი

**სტოკჰოლმის კონფერენციაში.**

**სტოკჰოლმი.** თიბათვის 29. ბერლინიდან იუწყებიან, რომ ოთხშაბათს კონფერენცის მონაწილეობით ძირითად საბჭოს მეორე სხდომა მოხდაო.

**რუსეთის მოსავალი.**

**პეტროგრადი.** თიბათვის 30. სასურსათო სამინისტროს ცნობით, ევროპის რუსეთის სამ მაზრაში პურის მოსავალი მშვენიერია. 23 საშუალოზე მეტი, 187—საშუალო, 60—საშუალოზე მდარე, 30—ცუდი, 25 მოსავალი მთლად მოისპო, ყველაზე კარგი მოსავალი ციმბირშია.

**ვილჰელმი საარჩევნო უფლების შესახებ.**

**სტოკჰოლმი.** თიბათვის 29. ბერლინიდან იუწყებიან: ვილჰელმმა პრუსიის სამინისტროს უფროსს აცნობა, რომ პრუსიის საარჩევნო უფლებათა რეფორმის კანონპროექტს საფუძვლად საყოველთაო თანაბარი საარჩევნო უფლება დაედებაო. პროექტი მალე უნდა იქმნეს შემუშავებული, რადგან მახლობელი არჩევნები ახალ კანონის მიხედვით უნდა მოხდესო.

**ცეცხლი ქარხანაში.**

**პეტროგრადი.** თიბათვის 30. სავაჭრო-სამრეწველო საქმეთა მინისტრის ცნობით, კოლპინის სამანქანო ქარხანაში დიდი ცეცხლი გაჩენილა.

**ქალაქის დაცვა.**

**მოსკოვი.** თიბათვის 29. ქალაქში ქურდობის და მკვლელობის გავრცელების გამო—დაწესებულია ქალაქის „დაცვა“ უმოწმოდ ათი საათის შემდეგ აკრძალულია ქალაქის ქუჩებში გამოსვლა.

**ცეცხლი სამგზავრო გემზე.**

**ლონდონი** თიბათვის 29. სანგუნადან იუწყებიან, რომ თიბათვის 17 გამოსულ ინდო-ბრიტანელთა სამგზავრო გემზე ცეცხლი გაჩნდაო.

# უკანასკნელი დეპეშები

უწმიდესი სინოდის უკანასკნელ სხდომაზე აღიარებულ იქმნა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია. ობერ-პროკურორს მიენდო შემუშავება კანონპროექტის, რომელშიაც უნდა განისაზღვროს ქართული ეკლესიის სფერო კავკასიაში. ამიერიდან საქართველოს ეგზარხი კავკასიის ეგზარხი იქნება.

—

ბერლინში სამხედრო ხაზმომ დაადგინა პეტროგრადის აღება. ეს ზომა რუსეთის ჯარის იერიშმა გამოიწვია.

—

საათის ისრების ერთი საათით წინ წაწევამ სადგურებზე, მაღაზიებში და დაწესებულებებში ბევრი გაუგებრობა გამოიწვია. ქარხანა-ფაბრიკაში კი მუშაობა ახალი წესით დაიწყო და დაგვიანებათაც არავის დაუგვიანებია.

—

სახალხო განათლების სამინისტრომ დროებით მთავრობას კანონპროექტი წარუდგინა უკრაინის გიმნაზიების გახსნის შესახებ ამას გარდა სამინისტრო თხოულობს 20000 მანეთს უკრაინულ სამოსწავლო წიგნების გამოსაცემად.

—

დროებითმა მთავრობამ საჭიროდ სცნო კავკასიასთან დამოკიდებულებისათვის დაარსოს პეტროგრადში კავკასიის კომისარიატი. კომისარად ინიშნება ვლადიმერ ნაბოკოვი, მის ამხანაგად გრიგოლი ევანგულოვი.

# ქრონიკა

## თბილისი

◆ **დამფუძნებელ კრებაზე** გასაგზავნ დეპუტატთა არჩევნების მომწყობმა კომისიამ, რომელიც ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტთან არსებობს, მკათათვის 1-ს აირჩია პრეზიდიუმი, რომელშიაც წევრებად შედიან ალ. ლომთათიძე, თოფჩიბაშევი და ა. ხატისოვი, მდივნებად: ვ. ხახანაშვილი, გ. ჯანსკი და მაკინციანი.

◆ **ნაძალადევის მატინგების** და სასახლეში მომხდარ ექსცესების გამო ჯ. კ. და მუშ. დეპუტ. საბჭოს მასჯელობა ჰქონდა და დაადგინა ზიზღი გამოეცხადოს დამნაშავეებს.

◆ **ღვინის გაყიდვის წესი** მ. და ჯ.-კ. დეპ. აღმ. კომიტ. დაადგინა მცხოვრებთ ღვინის ყიდვის ნება მისცეს მხოლოდ სადვინო კომისიამ, რომელიც მ. და ჯ.-კაც. საბჭოსთან დაარსდა.

◆ **ახალი წიგნი.** „საქართველოს“ რედაქციამ მიიღო მოსკოვის ქართულ სამეცნიერო საზოგადოების მიერ გამოცემული წიგნი, „მიკრობები გადამდები სატკივრებისა“. ალბუმის მსგავსი პოპულიარი გამოცემა ახსნილი ტექსტით, თარგმნილი გაიანე ლომაურის მიერ პრივატ-დოცენტ გაბრიელ ლომბარაშვილის რედაქციით. წიგნი კარგი გამოცემულია და ღირს 1 მან.

◆ **ტუსაღთა გაქცევა.** თიბათვის 29-ს სამხედრო სატუსაღოდან გაიქცა 22 კაცი, საშაში ავაზაკები.

◆ **შაქარი.** მუშ. და ჯ. კაც. დეპ. საბჭომ დაადგინა ოფიცერთა საზოგადოებას ქ. თბილისისათვის 5 ვაგონი შაქარი ესესხოს, ვ ნაიდან ქალაქში შაქარი აღარ არის.

◆ **ტრამვაის მოძრაობა.** ვაგონები პარკიდან გამოდის დილით $7^1/_2$ საათ. და ბრუნდება პარკში ღამის $12^1/_2$ საათზე.

◆ **ი. გ. ქარცივაძე** საინტენდანტოს კომისრად დაინიშნა და დავალებული აქვს ხელმძღვანელობა გაუწიოს ამიერ-კავკასიის საინტენდანტოს დაწესებულებათა მოქმედების გამოძიებას.

◆ **ს. დ. ჯაფარიძე და ი. მ. დოლუხანოვი,** ამიერ-კავკასიის კომისარიატთან არსებულ იურიდიულ კომისიის წევრები, თანადებობის გამო პეტროგრადს იგზავნებიან.

◆ **დანიშვნანი სამოსამართლო უწყებაში.** ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტმა დანიშნა: თბილისის სამოსამართლო პალატის წევრად ა. ს. საყვარელიძე, თბილისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარედ პ. გედევანიშვილი, თავმჯდომარის ამხანაგად ალ. ჭავჭავაძე და წევრებად პ. კიზირია და მაჭავარიანი.

◆ **კიტა აბაშიძე,** კომისარი დროებითი მთავრობისა ამიერ-კავკასიაში, ავადმყოფობის გამო თბილისიდან წავიდა.

◆ **ნაცვლად გვირგვინებისა,** რომლითაც უნდა შეემკო ახლად გარდაცვალებულის ნინო ივანეს ასულის კავკასიძის კუბო დეკანოზ ნათაძისაგან მიიღონ ხუთმეტი მანეთი ქართულ გიმნაზიასთან არსებულ უფასო სასადილოს სასარგებლოდ გადასაცემად.

◆ **შაქარი.** ქალაქის სასურსათო კომიტეტს წარსული თვიდან ცოტაღა დარჩა შაქარი, ახალი შაქარი არ მოსულია და არც იცის როდის მოუვა. 30 ვაგონი შაქარი, რომელიც ადესიდან უნდა მოსულიყო, არ მოსულა და კომიტეტმა არც იცის: სად იმყოფება ამ ჟამად ეს შაქარი. ამის გამო სასურსათო კომიტეტმა დაადგინა, რომ მიმდინარე მკათათვეში თითო მცხოვრებს მისცეს $1^1/_2$ გირ. შაქარი და ამ შაქრის ძლევა დაიწყოს ეხლავე.

## კავკასია

◆ **ამიერ კავკასიის სავაჭრო-სამრეწველო ბანკის კურთხევა** კვირას მოხდა. დაესწრო მრავალი წარმომადგენელი ქართულ დაწესებულებათა. წირვის წინ დეკ. ნ. თალაკვაძემ სათანადო სიტყვა წარმოსთქვა. წირვის შემდეგ დამსწრეთ სიტყვით მიმართა კათოლიკოსის მოსაყდრემ ეპ. ლეონიდემ (ეს სიტყვა ცალკე იბეჭდება „საქართველოში“). როგორც გადმოგვცეს მთელი თბილისელი ქართველობა სიმპატიით ეკიდება ბანკს და უკვე დიდი თანხაც შეუტანიათ მისი ანგარიშით.

◆ **საერობო რეფორმები.** დ. ვეილოვსკი დეპეშით იუწყება, რომ ის კომისია, რომელსაც იგი თავმჯდომარეობს, უკვე შეუდგა კავკასიის საერობო რეფორმების შესახებ დებულების შემუშავებას. კომისიამ საჭიროდ სცნო, რომ კომისიაში მონაწილეობა ჰქონდეთ ამიერ-კავკასიის საგან. კომიტ. წარმომადგენლებსაც.

◆ **სასურსათო საქმეთა მინისტრის** ამხანაგი ზელგეიმი დეპეშით ატყობინებს თბილისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტს, რომ მის მიერ მოგროვილია დიდძალი ფართლეულობა; სხვათა შორის გლეხთათვის საჭირო საქონელიც. იგი სთხოვს კომიტეტს ამ საქონლის გასანაწილებლად ორგანიზაცია მოაწყოს თბილისის გუბერნიაში.

◆ **საადგილ-მამულო საქმეები.** მთავარ საადგილ-მამულო კომიტეტის მიერ აპრილის 21-ს შემუშავებული კანონი, ამიერ-კავკასიის საოლქო საადგილ-მამულო კომიტეტმა თიბათვის პირველ რიცხვებში მიიღო. მაგრამ ეს კანონი ბევრ რამეში ვერ აკმაყოფილებს ადგილობრივ პირობებს. ამისათვის, ამიერ-კავკასიის საოლქო საად.-მამულო კომისიამ ცალკე კანონ-პროექტი შეადგინა ამიერ-კავკასიისათვის, რომელიც ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტის მიერ მოწონებულ იქმნა. კანონი იბეჭდება და მალე გამოვა ქართულ, რუსულ, სომხურ და თათრულ ენებზე.

## საქართველო

◆ **საჭიროა ქართული წიგნები.** მამახამრიდან გვაუწყებენ, აქაურ ქართველ ჯარის კაცებისათვის საჭიროა ქართული წიგნ-გაზეთები და სთხოვენ საზოგადოებას იზრუნოს ამაზე და უკვე წაკითხული წიგნ-გაზეთები გაუგზავნოს შემდეგი მისამართით: Кавказская дѣйствующая армія 3-ій Кавказскій пограничный полкъ. ან ადგილობრივ სამკითხველოს სახელზე.

◆ **მასწავლებლების მოთხოვნილება.** თბილისის გუბერნიის სახალხო მასწავლებელთა კავშირის გორის მაზრის ფილიალური განყოფილება ატყობინებს კავშირის გამგეობას, რომ მომავალი შემოდგომიდან განყოფილების წევრები სწავლებას აღარ განაახლებენ სკოლებში, თუ მათი მოთხოვნილება ჯამაგირების მომატების შესახებ დაკმაყოფილებულ არ იქმნაო.

◆ **ქ. შ. წ.-კ. გამ. საზოგადოებაში.** ახალმა კლუბმა საზოგადოებას შესწირა 600 მან.

დღეს, მკათათვის 4-ს დანიშნულია საზოგადოების გამგეობის კრება. განსახილველია ბევრი საჩქარო საქმე.

◆ **დიმიტრი ჯაში,** რომლის შესახებაც ხმები დადის, ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში მონაწილეო დეპეშები გაუგზავნა დეპუტატთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ჟორდანიას, პალატის პროკურორს, საგანგებო საგამომძიებლო კომისიას, დეპუტატს ჩხენკელს, კიტა აბაშიძეს და გაზეთების რედაქციებს. დეპეშით ჯაში ყველას სთხოვს და მოუწოდებს გამოიძიეთ ჩემი საქმე, დაამტკიცეთ, მართლა დამნაშავე ვარ თუ არა ილიას სიკვდილშიო. ათი წელიწადია ამ საზიზღარ ცილსა მწამებენო.

◆ **სიმინდის სიმცირე.** ამ ბოლო დროს ხანებში სიმინდი სრულებით აღარ შემოდის თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში. სიმინდის საჭიროება კი, ქუთაისის გუბერნიაში დიდია. ამისათვის დღეს ანუ ხვალ ჩრდილო-კავკასიაში მიემგზავრებიან თბილისის სასურსათო კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ელიავა, ქუთაისის ამისთანავე კომიტეტის თავმჯდომარე არდიშვილი და აგრონომი გ. დალაქიშვილი.

◆ **სასურსათო კომისიაში.** თიბათვის 2-ს წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობისა გამო მეორედ ვერ მოხდა თბილისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტის კრება. დიდძალი საჩქარო საქმეა თავმოყრილი განსახილველად. კრება დანიშნულია მკათათვის 7.

## ქუთაისი

◆ **ახალი რკინის გზა.** სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, რომ სამხედრო სამრეწველო კომიტეტს ქუთაისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა გამგის ინჟ. მულინის წინადადების თანახმად გადაუწყვეტია, საჩქაროდ გაიყვანოს ფართო ლიანდაგიანი რკინის გზა სადგურ აჯამეთიდან ბაღდადამდის.

◆ **დღეს** სამშაბათს, ნაშუადღევის საათის ხუთზე, რეალურ სასწავლებლის შენობის დარბაზში გაიმართება ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის თანამოაზრე მოსწავლე ახალგაზრდათა (? ლით და ვეშ?) საერთო კრება. კრებაზე წაკ თხულ იქნება რეფერატი.

◆ **საქალაქო არჩევნების გარშემო.** ქალაქი სამ საარჩევნო ნაწილად არის დაყოფილი. ცენტრალ უბანში საარჩევნო კომისიას თავმჯდომარეობს ბ-ნი ილია ჩიქოვანი, სამთა უბანში ბ-ნი გრ. გველესიანი და წყლის გაღმა ნაწილში ბ-ნი გრ. გიორგაძე.

◆ **ყრილობა.** 9 ივლისს ქალაქის თვითმართველობის შენობის დარბაზში დაიწყება ყრილობა საგუბერნიო დრ. აღმ. კომიტეტის არჩევნების მოსახდენად. მაზრებიდან ამ ყრილობაზე ყოველ 10 ათას მცხოვრებზე თითო წარმომადგენელი უნდა გამოგზავნონ.

## პროვინცია.

◆ **არჩევნები სიღნაღში.** კვირას, თიბათვის 25-ს სიღნაღის საქალაქო თვითმართველობის არჩევნები მოხდა არჩევნებში სამი პარტია იღებდა მონაწილეობას: სოციალ-დემოკრატები, დაშნაკელები და ნაციონალ-დემოკრატები. კონვერტების დათვლის შემდეგ აღმოჩნდა: სოციალ-დემოკრატებმა მიიღეს 2245 ხმა. გავიდა 18 ხმოსანი. ნაციონალ-დემოკრატებმა მიიღეს 217 ხმა, გავიდა 2 ხმოსანი, დაშნაკელების გავიდა 10 ხმოსანი, მიიღეს ხმა 1229. ამგვარათ 30 ხმოსანში, არის 18 სოციალ-დემოკრატი, 2 ნაციონალ-დემოკრატი და 10 დაშნაკელების კანდიდატი.

◆ **გორის ბანკის „გაცარცვა“.** „ტფილ. ლისტოკს“ გორიდან ატყობინებენ თიბათვის 26-ს, შუადღის $1^1/_2$ საათზე გორის სათავადაზნაურო ნდობის ბანკში მისულა მაზრის კომისარი ნინიძე (სურამის ყოფილი მღვდელი მყოფი), მ უყვანია შეიარაღებული მილიციონერები და ბანკის კასიდან წაუღია 10,200 მ. ასე მოქცეულა ნინიძე მაზრის კომისარიატის აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილებით.—ადმინისტრაციის წევრებს ჯამაგირები უნდა დაურიგოთ და ფული არა გვაქვსო. თუ ასე არ მოვიქეცით, მაზრაში მშვიდობიანობა დაირღვევაო, რადგანაც მილიციონერები ჯამაგირს არ იღებენო. ბანკის დირექტორი კაპანაძე და იქ მყოფი ხალხი თურმე ეუბნებოდა ნინიძეს, ეს ბანკი კერძოა, აქ ხალხის ფულია. კერძო საკუთრება ხელშეუხებელია და ამას რად ჩადიხართო. თუ მაინცდამაინც საჭიროა ფული, რატომ ხაზინიდან არ მიგაქვთ, იქ ხომ მთავრობის ფულიაო. ამაზე ნინიძეს უპასუხნია: ეგეთი ლაპარაკი „მეშჩანობაა“, ეხლა ყველაზე უწინ საჭიროა, 1) ანარქიის მოსპობა (ბოლშევიკები ჰყავს მხედველობაში) და 2) რევოლუციის გაძლიერებაო.

◆ **საქალაქო არჩევნები.** ქ. გორი ემზადება ახალი არჩევნებისათვის, ახალ დემოკრატიული წესით; მოხდა აღწერა მოქალაქეთა და აღმოჩნდა, რომ საარჩევნო ხმა 5000-დე ქალს და კაცს აქვს. ქალაქის ახალ გამგეობაში უნდა იყვეს 33 ხმოსანი; ამათი არჩევნები მალე მოხდება; ქ. გორი არჩევნების საქმის გასაადვილებლად დაყოფილია ხუთ უბნად.

◆ **ფულის მოგროვება.** გორის ქალთა საპროფესიო სასწავლებლის სასარგებლოდ აქ-წინაზედ ფულს აგროვებდნენ ყულაბებით.

◆ **8 საათის სამუშაო დღე.** შემოღებულ იქმნა გორში რვა საათის სამუშაო დღე.

◆ **ლექციები, კონცერტები** და სხვა. ამ ბოლო დროს ხშირად იმართება, მუშა ხალხი ნაკლებ ესწრება.

◆ **უშაქრობა.** შაქარი კარგახანია გორში აღარ იშოვება.

◆ **ჯამაგირების დაგვიანება.** გორის მხრის სახალხო სკოლების მასწავლებლებს კარგა ხანია რაც დამატებითი ჯამაგირი არ მიუღიათ და სცხოვრობენ ძირითად ჯამაგირის ამარა, რომელიც უდრის 31 მანეთს და 2 კ. ეს ჯამაგირიც თავის დროზედ არ მოსდის მასწავლებლებს.

# ძალმომრეობა მთავრობის კაცებისაგან

სიცოცხლისა და ქონების ხელშეუხებლობა ერთი უძლიერესი გარანტიათაგანია ხანგრძლივ ბრძოლის შემდეგ მოპოვებული კულტურულ კაცობრიობის მიერ.

უფლების ამ ნორმაზე დამყარებული მოქალაქობრივი წარმატება, ერთა დოვლათი და ზრდა.

სადაც ეს უფლებრივი ნორმა ირყევა, იქ ირღვევა საძირკველი ერის კეთილდღეობას და ეხსნება გზა მისს გადაშენებას.

ამ მხრით აშინებს რუსეთის მოწინავე საზოგადოებას ის ანარქიული ექსცესები და ფიზიკური ძალმომრეობა, რაც იქა-აქ ხდება შიდა რუსეთში ჯარის ზოგიერთა ლღვარ ახსნილ რაზმებისაგან.

აქამდის ჩვენი სამშობლო თავისუფალი იყო ასეთი საზარელი მოვლენისაგან, და ჩვენც მითი მოგვქონდა თავი, როგორც ჩვენი კულტურულ ღირსების მაჩვენებლისაგან.

სამწუხაროთ ახლა ზოგან ჩვენშიაც გაჩენილან მთავრობის უფლება მოსილნი უღირსნი ადამიანები, რომელნიც ეხლავე სახელს უტეხენ და ძირს უთხრიან იმ მთავრობას, რომელმაც მათ ანდო თავისი უფლების ნაწილი და იმ რეჟიმს, რომელმაც უარესისაგან გადაგვარჩინა, და ღონისძიება მოგვცა ჩვენს თავს წავადგეთ, თუ კაცნი ვართ და კაცის ქუდიც გვხურავს.

ამ რამდენიმე დღის წინათ ერთი ამ ვაჟბატონთაგანი წინ წაძღოლია ერთს მაზრაში თვის ხელქვეით მილიციონერებს, რომელთ ხვედრი ჯამაგირის ფული იქაურ საზოგადოებრივს კრებულს არა ჰქონია იმ დღეს, შეუყვანია ისინი კერძო ბანკში და მოუთხოვნია ბანკის გამგეობისაგან მილიციონერებისთვის ფული, და რაკი უარი მიუღია, შეიარაღებული ძალით გაულებინებია კასსა ამოუღია რამდენიმე ათასი მანეთი და იქვე დაურიგებია მილიციონერებისთვის.

ყოვლად შეუძლებელია ასეთი პირდაპირ ზარის დამცემი ბოროტმოქმედებამ ჩაიაროს ჩვეულებრივ ბოროტმოქმედებასავით, ჩვეულებრივ აუჩქარებელი გამოძიებითა და გაჭიანურებული გასამართლებით. თავისუფალ მოქალაქეებმა და თავისუფალ ხალხმა (ქალაქზე ხომ ასე სწერია) და რევოლუციონურმა ადგილობრივმა მთავრობამ ფხიზელი და მკაცრი ყურადღება მიაქციოს ამ საზიზღრობას, ყოველმხრივად გამოძიებულ იქნას იგი, ბოლო დამნაშავეები კი ულმობლად და სწრაფად დაისჯილნი.

ასეთს შემთხვევაში სამართლის მსჯავრის დაგვიანება ბოროტების წაქეზებას უდრის.

ილია ჭყონია.

# მისალმება

**თქმული ამიერ-კავკასიის ბანკის კურთხევაზე მკათათვის 2 ს**

ნება მიბოძეთ სულით და გულით მოგილოცოთ, მოქალაქენო, დიდებული საქმის დასრულება. ხვალიდან ჩვენს ქვეყანაში ფეხს აიდგამს უმაღლესი მნიშვნელობის ახალი დაწესებულება; ხვალიდან ჩვენ შორის დაიწყებს სამოჩხრიალს ანკარა და სიცოცხლის ჩამდგმელი წყაროს ძლიერ ნაკადი.

ბუხარი მაშინ ავრცელებს თავის გარშემო მეტ სითბოს, როდესაც იგი გაჭედილია ცეცხლმოდებული შეშით. ბვრეთვე ერი მაშინ იჩენს სიცხოველეს თავისი მოქმედების ყოველ მხარეში, მაშინაა ესა თუ ის ერი აყვავებული ვაჭრობა-მრეწველობით, მეურნეობა-ტეხნიკით, ცოდნა-განვითარებით და ყოველგვარი კულტურული ფაქტორებით, როდესაც ადვილად იშოვება მას ფული, როდესაც მისთვის იოლია კრედიტით ხელის მონაცვლება, როდესაც საჭირო სესხში არ იხდის უდიერ სარგებელს და მსხვერპლად არ ხდება უწყალო ჩარჩისა, როდესაც ერს მოეპოვება ბანკი,— ისეთი დაწესებულება, რომლის დაარსების სადღესასწაულოდ შემოკრებილხართ ამ ჟამად აქ მყოფნი.

მტკიცეთა მჯერა, რომ ძვირფასი ამიერ-კავკასიის მხარე ამ ბანკის მეოხებით არა-შორეულ მომავალში გარდაიქმნება კულტურულ შვეიცარიად: იგი კიდით-კიდემდე დაიქსელება სოფლის გზა-ტკეცილებით და რკინის გზის ლიანდაგებით, მის მთავარ მდინარეებში დაიწყებენ გედებივით ყელყელობას პატარ-პატარა გემები, ამაყი კავკასიონის ქედის გულში აფუთფუთდებიან ჩაქუჩითა და სატეხით ხელში ძვირფასი მადნეულობის საძიებლად ტეხნიკოსების ლაშქრები, ღვთის კალთა-დაბერტყილ მინდვრებზე, ეხლა რომ ზანტად მიიზლაზნება რვაუღლეა გუთანი, უსათუოდ დაიწივლებს ორთქლით მოქმედი ტრაქტორი და ორთქლითვე მომუშავე სამკალ სათიბ-სალეწ-სანიავებელი მანქანები დაავიწყებინებენ ჩვენს მუშას დღევანდელ ბლაგვ ნამგალს, ცელს, კოხიან კევრს, თავბრუს მომგვრელ კალოს და იმ აუტანელ წამებას ჩვენში რომ ნიავობას უძახიან. დღეს დღე ობით უნიათო, უსიცოცხლო და ყოვლად მოუწყობელი ჩვენი ქალაქები, ჩქარა მოიფუშნერტებენ თვალებს, ზღაპრული სისწრაფით დაიწყებენ ზრდას, გარდიქმნებიან გონიერი ვაჭრობა-მრეწველობის ბურჯებად, [illegible] მაღალი მეცნიერებით [illegible] ძრებით და მიიღებენ იმ სახეს, რომლითაც ასე ხიბლავენ დიდსა და პატარას ევროპის ყველა ცნობილი ქალაქები და სხ. და სხ.

დიაღ, ეს ყველაფერი მოხდება ამ ბანკისა და მისგან გამოწვეული საკრედიტო დაწესებულებებისაგან და ნეტარეა იმ პირთ, რომლებმაც იგი დააფუძნეს, სახელი და დიდება იმათ, რომლებსაც ერის სიყვარულმა უკარნახა ასეთი სასიკეთო საქმის განხორციელება!

მაშ უფალმა აკურთხოს ამ დაწესებულების ყველა მეთაურ-მონაწილენი და ცისა და ქვეყნის მპყრობელმა ჩვენმა ზეციერმა მამამ ჰქმნას ეს ახლად ნაკურთხი ბანკი ჩვენი ერისა და ქვეყნის აყვავება-ბედნიერების დაუშრეტელ წყაროდ.

სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის მოსაყდრე ეპისკოპოსი ლეონიდი.

# ჟურნალი „ნაროდოპრავსტვო“

პარტიობამ ისე შთანთქა უმრავლესობა და მისმა ჟინიანობამ ისე გაიდგა ფეხი რუსეთის ცხოვრებაში, რომ ბევრი საკითხი უყურადღებოდ რჩება და ბევრს კიდევ მიუდგომელი გადაჭრა აკლია. ამისათვის ბუნებრივია, რომ სახელმწიფო სათათბიროსთან დაარსდა „განმანათლებელ“ კომისია, რომელსაც დაუსახავს მიზნათ უპარტიო განმანათლებელ ორგანოს შექმნა. თუ კი არ უღალატებს ეს კომისია თავის პროგრამას, მას ბევრი კარგი რამა აქვს განზრახული. მაგალითად, წიგნებ-ბროშურების გამოცემა და, ხალხში მათი გავრცელებით, ნამდვილი—სალი შეხედულების შექმნა სხვა და სხვა საჭირბოროტო საკითხის შესახებ.

მაგრამ ჩვენთვის, ქართველებისათვის, მარტო ამ მხრივ არ არის საინტერესო ზემოხსენებულ კომისიის დაარსება. ჩვენთვის საინტერესოა განსაკუთრებით მიტომ, რომ გადაწყვეტილი აქვთ გამოსცენ ჟურნალი „Народоправство“, რომლის მიზანი იქნება ნაციონალურ საკითხის ყოველმხრივ გაშუქება-გადაჭრა. ამ ჟურნალის რედაქტორობა მინდობილი აქვს პროფესორ ნ. ალექსეევს, რომელიც უმორჩილესად სთხოვს ჩვენს ისტორიკოსებს და პუბლიცისტებს მიიღონ მონაწილეობა ჟურნალში. მეტად სასურველია, რომ მისი თხოვნა არ დარჩებოდეს უყურადღებოთ და ჩვენი ერის მოამაგენი აიღებდნენ კალამს ხელში, რომ გააგებინონ რუსეთს, თუ ვინა ვართ ჩვენა, რა გვინდა და რა კანონიერი უფლებანი გვაქვს, რათა ამით გაიფანტოს რუსის ხალხის ის უკუღმართი შეხედულება, რომელიც ასე გულმოდგინეთ გაავრცელეს და ჯერაც კიდევ ავრცელებენ ჩვენზედ ჩვენნი მტერ-მოყვარენი.

ს. ა.

# ბათომის ოლქის მეურნეობა

1915—1917 წელთა ხარჯთაღრიცხვით, წინანდელ რეჟიმის დროს მეფის ნაცვლის კანცელარიისაგან შედგენილით, ბათომის ოლქის შემოსავალი იყო 135,330 მანეთი, გასავალი 234.310 მანეთი. ზედმეტ გასავალს 98,980 მანეთს ბათომის ოლქს უფარავდნენ სხვა გუბერნიების საერობო შემოსავლიდან.

უმთავრეს წყაროს შემოსავლისას შეადგენდნენ: ქ. ბათომის უძრავ ქონებათა გადასახადი 40,604 მან, 3% გადასახადი ქალაქს გარედ არსებულ სავაჭროებისა და ფაბრიკებისა 39.420 მანეთი, მიწების გადასახადი 17 777 მანეთი და პატენტებისა და სამრეწველო გადასახადი—17.000 მანეთი.

გასავლის უმთავრესი საგნები—გზების გასაყვანი—110.307 მ., ხალხის განათლებისთვის 57.615 მან., სამკურნალო ხარჯი—32.604 მან. და საიაგრონომიო საქმისათვის 18.974 მან.

გზების გასაყვანი 110.307 მანეთი ხაზინას არ გამოუღია, რადგანაც ომის წინად გადაწყვეტილი იყო ამიერ-კავკასია განეთავისუფლებინათ საპოლიციო დარაჯების შესანახი ორიოდე მილიონისაგან, რაც ჩვენს მხარეს ხდე-

ბოლდა, და ხაზინას მიელო თავის თავზე, და ამ ნაირად დაზოგვილი ფული მოხმარებოდა ისეთს საერობო საქმეებს, როგორც გზების გაყვანაა და სხვ.

როცა საერობო თვითმართველობას შემოიღებენ ბათომის ოლქში, გადასახადებმაც ბევრად უნდა მოიმატოს, რომ საკუთარმა შემოსავალმა დაფაროს საკუთარი ხარჯები, რადგანაც მაშინ სხვა გუბერნიების შემოსავლიდან ვეღარავინ შეეწევა ბათომის ოლქს. მაშინ მოემატება გადასახადები ყველაფერს—ქალაქის უძრავ ქონებას, მიწებს, ტყეს, სავაჭროებს და სხვ. და სხვ.

ძირიანათ უნდა გარდაიქმნას სისტემა შეფასებისა და გადასახადისა ზღვის პირათ და მისს ახლო მდებარე სავაჭრო მიწებზე. დღემდის ამ მიწებს ხდებათ რაღაც გროშები შემოსავლის კვალობაზე. შემოსავალი კი მათი, სანამ ვინმე მოსული მდიდარი არ იყიდის, ან სულ არაფერია, ან იმდენად მცირე, რომ თქმათაც არა ღირს. გასაყიდი ფასი კი პირდაპირ საარაკოა. ამიტომაც ამ მიწებს გადასახადი უნდა დაედვას გასაყიდ ფასის კვალობაზე, რაც საერთო შემოსავალს ოლქისას თავის კვალს დაამჩნევს.

სივრცე ბათომის ოლქისა უდრის 6134 ოთხკუთხ ვერსტს ანუ 675,740 დესეტინას. ადმინისტრატიულათ ოლქი დაყოფილია 2 მაზრათ 7 ნაწილათ, ანუ განყოფილებათ, 22 სასოფლო ოლქათ, 108 სოფლის საზოგადოებათ და 463 სოფლათ.

სოფლის მცხოვრებთა რიცხვი ომამდი იყო 144,322 სული, მათ შორის კაცი 82,008 სული, ქალი—62,315 სული.

ეხლა კი არის სულ 100,000-ამდე სული გარდა დაბა ართვინისა და ბათომისა.

მცხოვრებთა საერთო რიცხვიდან 83 პროც. შეადგენენ ქართველი მაჰმადიანები 14 პროც. სომხები და დანარჩენს 3 პროც. კი რუსები, ბოშები, ქურთები და სხვ.

მეურნეობა ხალხში მრავალგვარია: მოჰყავთ პური, სიმინდი, თამბაქო, მისდევენ მევენახეობას, მებაღეობას, აშენებენ ჩაის ბუჩქებს, ლიმონებს, ფორთოხლებს, მანდარინებს ზეთის ხილს და აგრეთვე საქონელს.

პური ბათომის ოლქს ვერასოდეს ვერ მოჰყავდა იმდენი, რომ წლიდან წლამდე ყოფნოდა. ამის უმთავრესი მიზეზი—მიწის საკვირველი მთაგორიანობაა. სახნავ მიწები იმდენათ დაფერდებულია, რომ დასამუშავებლათ გუთანი ვერ მიუდგება. თვით ხალხსაც აკლია მიწის დასამუშავებელი კულტურული ცოდნა.

ყოველ შემთხვევაში აქაური მთაგორიანი მიწა გაჩენილია იმდენათ არა ხვნა-თესვისათვის, რამდენათაც მაღალ კულტურისათვის.

ამ უკანასკნელს უნდა მიეცეს ახლა მაინც დიდი უპირატესობა, რადგანაც ომის ქარცეცხლში ოსმალეთის ჯარმა, დროებით შემოჭრილმა ოლქში, გაირეკა და გადაასახლა ტრაპიზონის ვილაეთში 50,000 სული სხვილი სოფლის მცხოვრები, სულ ქართველ მაჰმადიანები.

ამდენი მუშა ხელის წარტყვევნამ შემდეგს 1916 წელშივე 5,000 დესეტინით შეამცირა დათესილი ყანების სივრცე.

ხალხს რომ ქართული და სხვა საქველმოქმედო საზოგადოებანი დროზე არ მიშველებოდენ, მისი საქმე ძალიან ცუდათ აქნებოდა.

დღეს ოლქს უფრო ესაჭიროება პური, ვიდრე წინათ როდისმე. ფუთი სიმინდი სოფლათ 4 მანეთამდე ფასობს.

მიუხედველათ ამისა, მატულობს არა პურის ყანები, არამედ თამბაქოსი, რომლის ფასმა ისე აიწია, როგორც არასოდეს. 1914 წ. თამბაქოს ყანები უდრიდა 420 დესეტინას, მოწეულ იქმნა 11,050 ფუთი, 1916 წ. კი დაითესა 650 დესეტინა, მოიწიეს 16,200 ფუთი თამბაქო.

ხალხს ავიწყდება, რომ თუ პური არ იქნა, თამბაქოდან აღებული ფული ვერას უშველის.

ომიანობამ მარტო მუშა ხელი კი არ მოაკლო და წაართვა ხალხს, დაუღუპა მუშა საქონელიც.

დიდძალი საქონელი ოსმალთა ჯარმა გაიტაცა, რაც დარჩა რეკვიზიციის წესით წაყვანეს რუსის ჯარებმა და მათმა იჯარადრებმა. ამას დაერთო საქონლის ჭირიც. საერთოთ საქონლის რიცხვმა სოფლათ იკლო, ომის წინა დროსთან შედარებით, ერთი სამათ.

თუ საქონელი ხელახლავ არ მოიშენა ხალხმა, მისი მეურნეობა ვერასოდეს ვერ დადგება ფეხზე.

საქონელი აძლევს ხალხს რძეს, ყველს, ერბოს, კარაქს. ხარი უხნავს მიწას და აძლევს მიწის სასუქს.

უამისოთ ხალხს აკლდება მუშაობის ღონისძიება, საზრდო და დგება გადაშენების გზაზე.

თვალსაჩინო შემოსავალს აძლევს ხალხს მებაღეობა, თუმცა საიმისო ცოდნა მაინცა და მაინც არავისა აქვს. მოჰყავთ ვაშლი, მსხალი, ქლიავი, კაკალი (ნიგოზი) თხილი, ხურმა, ზეთის ხილი, ართვინის მაზრაში აშენებენ ვენახებსაც.

შესანიშნავია აქაური რკინის ვაშლი, დემირ-ალმა.

მთელი ბათომის ოლქიდან გააქვთ გასაყიდათ 350.000 ფუთი ვაშლი და მსხალი, უმთავრესათ ვაშლი. მათ რიცხვში 300.000 ფუთს იძლევა აჭარა და ქობულეთი და 50.000 ფუთს კი ართვინის მაზრა. ხილი გააქვთ უფრო ადესაში.

მოგება უფრო ჩარჩებს, ვაჭრობის შუამავლებს რჩებათ, ვიდრე ხილის მომწევთ.

რომ უფრო მეტი მოგება დარჩეს ხილის მომწევს, საჭიროა მათ დაირსონ კოოპერატივები და მეხილეთა ამხანაგობანი.

ართვინის მაზრაში აქვთ, 375 დესეტინა ვენახი. ზოგი ჯიში იქაური ყურძნისა შესანიშნავი ღირსებისაა.

ბათომის მაზრაში კი თითქმის მარტო იზაბელლას ჯიშის ყურძენი იციან, ვაზი ხეზეა გაშვებული. მთელს ოლქში 1913 წელს მოიწიეს 139.700 ფუთი ყურძენი.

ართვინის მაზრაშივე აშენებენ ზეთის ხილის ხეებს. აქაური ზეთის ხილი არ ჩამოუვარდება იტალიის, ალჟირის და ტუნისის საუკეთესო ზეთის ხილს. სამწუხაროთ, რაც დრო მიდის, ამ ხილის ხეების მოსარწყავათ გაყვანილი არხები თანდათანობით ისილება. თუ ასე გაგრძელდა, შეიძლება ეს შესანიშნავი ხეები ახლო მომავალში სრულიათ გადახმეს და მით მოისპოს ეს იშვიათი კულტურა მთელს რუსეთში.

უფრო სამწუხაროა ბედი ზეთის ხილის ხეებისა იმ 12 სოფელში, რომლის ხალხი ოსმალებმა ამ ომის დროს გადაასახლეს.

ამ სოფლებში ზეთის ხილის მოვლა 1914 წ. მინდობილი ჰქონდა საოლქო აგრონომს გ. რ. სამხარაშვილს, რომელსაც ეუბნებოდ ხავს 1.100.000 ხე 20 წლისაზე უფროსი.

ართვინის მაზრიდანვე გაუტანიათ გასაყიდათ:

60.000 ფუთი ხურმის ჩირი,
500 ფუთი ლეღვის ჩირი,
1.500 ფუთი ვაშლის ჩირი,
2.100 ფუთი ქლიავის ჩირი,
3.000 ფუთი თხილი,
1.000 ფუთი ტყემლისა და შინდის ტყლაპი.
1.000 ფუთი შინდის ჩირი.

ბათომის მაზრაში, რომელსაც ერთი მხრით ზღვა საზღვრავს, 1913 წ. მოუწყვიათ სულ 1.200.000 გირვანქა ჩაის ფურცელი, რომლიდან დაუმზადებიათ 300.000 გირვანქა სხვა და სხვა ღირსების ჩაი.

ამავე მაზრაშია 300 დესეტინა მანდარინის ბაღია.

მთელ ოლქში კეთდება გასასყიდათ 1.700 ფუთი კარაქი და 300 ფუთი ყველი. არც კარაქი და არც ყველი კარგი ღირსების არ არის.

ოლქიდან გასასყიდათ გააქვთ აგრეთვე 3.000.000 კვერცხი და 10.000 სული ფრინველეულობა.

თუმცა პატარაა ბათომის ოლქი, მაგრამ მას უფრო მეტის დამუშავება და გატანა შეეძლო, რომ მას სოციალპოლიტიკური პირობები უწყობდეს ხელს.

აგრონომი გ. ს. გამხარაშვილი, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის ოლქის მეურნეობის განაყოფიერებაში, თავის მოხსენების ბოლოში ამბობს:

„რანაირიც არ უნდა ყოფილიყო ამ ქვეყნის წარსული, საჭიროა ამ ჟამად და მომავალშიც ამ ძველის-ძველმა, პატიოსანმა, ჭკვიანმა და მასთანვე უბედურმა ხალხმა ეცადოს ყოველი ღონის ძიებით, რომ აამოძრაოს მთელი თავისი გონებრივი შემოქმედება და შეიძინოს მოწინავე ხალხთაგან ტეხნიკური ცოდნა, გამოიყენოს იგი და მითი თავის ცხოვრება გახადოს წესიერი, სამართლიანი, თავისუფალი და ლამაზი.

აგრონომი გ. ს. გამხარაშვილი.

## რა ხდება უკრაინაში

გაზ. „კიევ. სლოვო“ კიევის საყურადღებო სცენას აგვიწერს.

ქალაქში ქუჩებში მიტინგებია. მათი რიცხვი დღითი დღე მრავლდება, დღითი დღე ცხარე ხასიათს იღებს. ხალხსაც თანდათან მღელვარება ემატება.

ნაციონალური ცეცხლი ყველას სწვამს. იგი ყველაზედ ბოროტი და ყველაზე გესლიანი გამოდგა.

საქმე თუ უკრაინის დამოუკიდებლობით იწყობა, შემდეგ უკვე მკაფიოდ იღებს ნაციონალურ სახეს.

— თქვენ, მოსკოველებო, აქამდის კისერზე გვესხედით—ამბობს ერთი ჯარისკაცი—გვახრჩობდით, და ახლა რასაც ვითხოვთხოვთ იმის მოცემაც არა გსურთ...

— მერე, განა ხალხი გახრჩობდათ? —უპასუხებენ მას!—არა გრცხვენიანთ, რომ ეგრე ლაპარაკობთ?...

— ეგ სულ ერთია! ჩვენ კი გვახრჩობდნენ—და! თქვენ ეხლაც ალბად ძველებურად თუ გსურთ...

ქუჩის მეორე კუთხეში მეტი აღელვებაა.

— რუსეთის დემოკრატია?

— რაა? რუსეთის დემოკრატიამ ჩვენ თავისუფლება მოგვანიჭა?—მრისხანედ უპასუხებს უკრაინელი ოფიცერი. ტყუილად გგონიათ ეგა... თავისუფლება, თუ გსურთ მართლა გაიგოთ, ფრონტმა მოგვანიჭა. ჯარში კი მრავალია უკრაინელი. ვინ არის ვოლინის პოლკში, რომელმაც პირველად აატრიალა თავისუფლების დროშა? თითქმის მთლად უკრაინელები არიან...

— არა, უკაცრავად... პეტროგრადის პროლეტარიატმა...

— ეე! თუ ფრონტი მხარს არ დაუჭერდა ბევრს რასმეს კი გააკეთებდა თქვენი პეტროგრადის პროლეტარიატი...

ერთი რუსის დემოკრატიის მოწინაალმდეგეთაგანი გადაჭრით გაიძახის:

— საქმე ისე არ გადასწყდება, ვიდრე ჩვენ აქ, კიევში უკრაინელ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს არ დავაარსებთ.

ჯარისკაცების ერთ ჯგუფში გაცხარებული ჩხუბია.

რამდენიმე რუსაკი აღელვებულია სეპარატიულ მისწრაფებებით.

— თქვენ გამოყოფა გსურთ?

— ჰო, გვინდა!—დაჟინებით გაჰკივიან უკრაინელი ჯარისკაცები.—მერე თქვენ რა? რას გვიბლაუჭებით ასე? უჩვენოთ ცუდად იქნებით? ჩვენ კი უთქვენოდ უფრო კარგად ვიცხოვრებთ.

— დაიცა!—ისმის რუსის ჯარისკაცის ხმა,—გადით ფრონტზე, რას გეტყვიან ამხანაგები! ისინი გაჩვენებენ თქვენ თავისუფლებას,

— ჯერ ფრონტამდის ბევრი დროა!

— ჰო-და! ეგ გერმანელებისათვის ხელსაყრელია...

ჰო-და... ისინი გაჩვენებენ თავისუფლებას!

## ქართული მონასტერი ბულგარეთში

გაზ. „კავკაზ“-ის № 154-ში დაბეჭდილია გ. მახანის წერილი ქართულ მონასტრის შესახებ ბულგარეთში, რომლის შინაარსიც მოგვყავს მოკლედ.

„ქართველ ერს უძველეს დროიდან დამოკიდებულება ჰქონია, არა მარტო აღმოსავლეთ ევროპის ერებთან, არამედ ბალკანეთის ნახევარ-კუნძულზედაც ჰქონიათ საქმე. ჩვენ არ ვიცით თუ როდის დაიწყო ეს დამოკიდებულება. შეიძლება ეს იყო გამოწვეული ბულგარელებისგან და არა ქართველთა მიერ; არაბთა მწერლის მასსუდის (მე-X საუკუნე) სიტყვებით უკანასკნელნი ისე გაძლიერდნენ შავს ზღვაზე, რომ შავი ზღვა მათი სახელით იწოდებოდა.

ქართველი ხალხი მათ უსაცილოდ იცნობდა, ეს სჩანს იმ ქართულ ხელნაწერიდან რომელსაც უგზავნის (მე-17 საუკ.) საქართველოდან მაქსიმე ალმსარებელი—ნექტარს თალასიოს და რომელმაც სხვა ერთვნებათა შორის ბულგარელებიც ახსენიება. ისტორიულად დამტკიცებულია, რომ მე-17 და მე-18 საუკ. ქართველებმა არა ერთხელ გაილაშქრეს კონსტანტინეპოლზედ და ბულგარეთში რომ ბერძენთა იმპერატორმა—ბარდა სკლეროსის შიშით ტახტის დასაცველად ქართველთა საგანგებო გვარდია მოიწვია რომელსაც მეთაურობდა ცნობილი თორნიკე ერისთავი.

მას შემდეგ, რაც ქართული მონასტრები გამრავლდნენ ბულგარეთში, თესალიაში, სოლუნში და ათონში—ქართველთა კულტურული გავლენა უფრო გაძლიერდა. ეს გავლენა სჩანს სლოვენთა „გლაგოლიცაში“ (ანბანი). გლაგოლიცის ანბანი სრულიად წააგავს ქართულს ხუცურს. ათონის ქართველთა მონასტერი ბალკანეთისთვის იყო ცენტრი განათლებისა—ათონის ქართველი ბერები იყვნენ მოციქულნი, რომელთა დიდი ღვაწლი უძღვით სლოვენთა მოქრისტიანებაში.

მაგ. დამტკიცებულია, რომ ცნობილი ქართველი ბერი მთარგმნელი გიორგი მთაწმიდელი ქრისტიანობას ჰქადაგებდა როდოპოვის სამხრეთ კალთებზე. (ზლატარსკი: სტუდიი პო ბოლგარსკაია ისტორიი“, 54) ჟამთა ცვლამ და პოლიტიკურმა მდგომარეობამ შეასუსტა საქართველოს მონასტრები ბალკანეთის ნახევარ-კუნძულზედ. მხოლოდ ორი მათგანი გადურჩა ჟამთა ქარიშხალს—ერთი ივერიის ათონის მონასტერი, მეორე ბაჩკოვისა—ჩრდილო როდოპებში ქართულ მატიანეში პეტრიწის მონასტრად ცნობილი.

იგი დაარსებულია 1084 წ. ძმათა ბაკურის ძეთა მიერ. ერთი მათგანი იყო „სევასტი და დიდი დომესტიკი“, გრიგოლი მეორე—„დიდი მაღისტროსი აღმოსავლეთის პროვინციებისა ამასი. — გრიგოლი ბერად შედგა, ხოლო მონასტერს დიდი მამულები მიეცა.

მონასტრის წესდებით, (რომელიც დაწერილია ქართულად და არაბულად) მონასტრის ძმობას უნდა შეადგენდეს 50 ბერი ქართველი, მხოლოდ ღრამატიკოსად შეიძლებოდა უცხო ეროვნების ბერიც ყოფილიყო. (ირეჩეკი: Gesty Bulharscu, 308). ოსმალთა ბატონობის დროს მონასტერში ქართველობა დიდად შემცირდა. 1706 წელს აქ იყო ავსტრიის საგანგებო საელჩოს წევრი—ლუკასი. მისი მოწმობით აქ იყო 100 ბერი, მათ შორის ორიოდე ქართველი. მონასტერი მდიდრად სცხოვრობდა და ლუკასიც კარგად მიიღეს (P. Lucas Allerneueste Reise, 172—174). მონასტერი შემდეგ ბერძენთა ხელში გადავიდა. ახლა კი ბულგარელებს ეკუთვნით. ქართული ხელნაწერები გაზიდეს ბერძნებმა სტამბოლსა და პლოვდივში, ბევრიც დაიკარგა. ტაძრის მხატვრობასაც ქართული ელფერი აღარ შერჩენია. მოხატულია უშნოდ—ბერძენთა მიერ. საკურთხეველში გამოხატულია ორი ქართველი თავადი, რომელთაც დააარსეს ეს ქართული მონასტერი.


## ამიერ-კავკასიის რკ. გზის
მატარებლების მიმოსვლა
(დრო ნაჩვენებია ადგილობრივი)

ბათუმიდან გადის:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 3, | 11.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 11.48 | საღ. |
| ბორჯომისკენ | სამგზ. | № 19, | 8.20 | დილ. |
| „ | „ | № 17, | 8.27 | დილ. |
| გორისაკენ | სამგზ. | № 61, | 9.10 | დილ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 9.20 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 8.54 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-3, | 11.18 | საღ. |

თბილისში მოდის:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 7.51 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.38 | საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.46 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 | საღ. |
| გორიდან | სამგზ. | № 62, | 6.14 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 10.40 | საღ. |
| ყარს-ჯულფ. | საფ. | № 3***, | 8.10 | დილ. |

III წელ. მიიღება ხელის მოწერა 1917 წელს III წელ.

სალიტერატურო, საპოლიტიკო და სამეცნიერო ჟურნალ

„თავისუფლება“-ზე

რომელიც გამოვა ორ კვირაში ერთხელ, რომანოზ სპ. ფანცხავას რედაქტორობით. ჟურნალში ითანამშრომლებენ საუკეთესო სალიტერატურო ძალები (წელიწადი პირვ). წლიურათ ჟურნალი ღირება 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., სამი თვით 2 მ. თვიურად 80 კ. წლიურ ხელის მომწერლებს ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეუძლიათ. ქუთაისში ხელის მოწერა და ნუმრების ყიდვა შეიძლება მხოლოთ რედაქციის კანტორაში (სტამბა „ძმობა“), ისიდორე კვიცარიძესთან. თბილისში, კავკასიის საფერშლო სკოლის მოწაფესთან, ტერენტი გ—ძე სვანიძესთან და შალვა იასონის ძე მეგრელიშვილთან. ჭიათურაში—პლატონ პ—ძე კილასონიასთან, სამტრედიაში მინა კოპალეიშვილთან, ფოთში—ნესტორ დოლიძესთან, ბათუმში—„განთიადის“ კანტორაში, ბაქოში—სანდრო ჭურიძესთან, ქალაქის თვითმართველობაში და მოსკოვში, სტ. შალვა და გომართელთან. ფული უნდა გამოიგზავნოს ამ მისამართით:

Кутаисъ, Роману Спиридоновичу Панцхава.

# თბილისის კლუბთა კავშირისაგან.

უმცროს მოსამსახურეთა გაფიცვის ლიკვიდაციის გამო.

ქ. თბილისის კლუბთა კავშირის კომიტეტმა განიხილა ის მოთხოვნილებანი, რომელნიც რესტორანების, კლუბების და სხ. მოსამსახურეთა პროფესიონალურმა კავშირმა წარუდგინა. კომიტეტმა დიდი ყურადღება მიაქცია აგრეთვე კლუბების ოფიციანტების ხელფასს და გამოირკვა, რომ მოთხოვნილების ყველა პუნქტები, რომლებიც ოფიციანტების უფლებას შეეხებიან, მთლად დამაკმაყოფილებელნი არიან. რაც შეეხება ხელფასს, იგი შრომის სხვა და სხვა დარგების მუშათა ხელფასს მეტად აღემატება. ამის გამო კომიტეტმა დაადგინა:

1) ის მოთხოვნა, რომელიც კლუბების მოგების ნაწილს მოითხოვს (ლოტოსა და კარტის შემოსავლიდან) ოფიციანტებისთვის აუსრულებლად უნდა იქმნას დატოვებული, ვინაიდან კლუბები საოჯახო-საზოგადო დაწესებულებაა და არა საკომერციო საქმეთა წარმოება, ამიტომ არც წევრებს და არც მათ მამასახლისებს მოგებაში წილი არ უდევთ. ამ დაწესებულების საჭიროებას თუ ფული გადარჩება, იგი საქველმოქმედო მიზნით უნდა იქნას მოხმარებული.

2) რადგან შრომის საპროცენტო საჩუქარი მუდამ უცვლელად არ დარჩება, ამიტომ მშრომელის ასეთ საჩუქრით დაკმაყოფილება ნამდვილ მიზანშეწონილ საშუალებად არ ჩაითვლება. ამიტომ უფრო მიზანშეწონილ საშუალებას უნდა მივმართოთ. საჭიროა მოსამსახურეთა სამუშაო ხელფასი გადაჭრილ ჯამაგირით გადასწყდეს. ამასთან ცხოვრების სიძვირის გამო ჯამაგირზე მომატებაც უნდა გადასწყდეს. სასადილოთა ოფიციანტების, კარტისა, ლოტოსი, პილიარდისა და აგრეთვე (ეკონომიურ ძალის მიხედვით), „ახალ საკრებულოსი“, „ველაბრის კლუბი“-ს, „კრუჟოკ“-ის (ძიდრე ახალ სადგომზე გადავიდოდეს) და „რუსულ კლუბი“-ს შვეიცარების ძირითადი ჯამაგირი 50 მანეთად გადასწყდეს; ცხოვრების სიძვირის გამო 100—150 პროც. მომატება—50—75 მანეთი; სულ 100—125 მანეთი.

„ახალ კლუბი“-ს, „არტისტიულ საზოგადოები“-ს, „თბილისის საკრებულო“-ს და „ხელოსანთა კლუბი“-ს შვეიცარების ძირითადი ჯამაგირი—50 მანეთი; ცხოვრების სიძვირის გამო 150—200 პროც. მომატებით—75—100 მანეთი, სულ 125—150 მანეთი.

შენიშვნა. აღნიშნულ საშტატო მოსამსახურეთა განსაზღვრის დროს—მხარი დაეჭიროს მუშაობის იმ ნორმას, რომელიც გაფიცვის დროს არსებობდა მაგალ., სასადილოში 2—3 მაგივრად თითო ოფიციანტების დაწესებით.

დაბალ მოსამსახურეთა მიღება თუ დათხოვნა, მცირე ჯამაგირიანის დიდ ჯამაგირზე გადაყვანა საჩუქრის განსაზღვრა შეადგენს კლუბის მამასახლისის საქმეს. ამასთანავე მოსამსახურეს მიეცეს ნება ხმის მიცემისა გამგის მოქმედებაზედ კლუბის მამასახლისთა საბჭოში, რომელიც გადასინჯავს საკითხს არსებითად, მსახურთა პროფესიონალ საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად.

3) რესტორან-კლუბების და სხ. მოსამსახურეთა პროფესიონალ კავშირს ეცნობოს, რომ კლუბთა კავშირი თავისი შეხედულებით არავითარი პირობების და დათმობის, როგორც პრინციპიალს, ისე ეკონომიურს თვისებების პოვნა მას არ ძალუძს.

II. კლუბების დემოკრატიზაციის საკითხი.

შემუშავებულ იქმნას მოკლე ხანში და გადაეცეს განსახილველად წევრთა საერთო კრებას, კლუბების დემოკრ. პროექტი. საოჯახო-საზოგადოებრივ ორგანიზაციის ლოტოზე სამსახურის დაწესებით, სასადილო („ფინჯან ჩაის“ მსგავსად) და კლუბის სამსახურის სხვა და სხვა დარგებში, სადაც მოსამსახურეებისაგან საჭირო არ არის მიხვედრა ან ტეხნიკური ცოდნა. ამ პროექტის ძირითად საფუძვლად უნდა დაიდოს შემდეგი პრინციპიალი ხასიათის მოსაზრება: კლუბების წევრთა და მათ ოჯახებს ამ მწიმე წუთების დროს ნება არა აქვთ კლუბების მოსამსახურენი პირად საქმეებისთვის ამუშაონ, როდესაც იგინი შეუძლია სახელმწიფოს გამოიყენოს, როგორც ქვეყნის თავდაცვაში (დენშჩიკების მსგავსად) ისე მწარმოებელ ძალთა განვითარებაში.

ქ. თბილისის კლუბთა კავშირის კომიტეტი.

4—757—1

წიგნის გამომცემლობა „განათლება“ ქუთაისში

ამ ჟამად იბეჭდება წიგნის გამომცემლობის „განათლების“ შემდეგი გამოცემანი:

1) ქართული გრამატიკა (ვრცელი) სილ. ხუნდაძისა.
2) ქართული გრამატიკა (მოკლე) მისივე.
3) ქართული მოკლე გრამატიკა იას. ნიკოლაიშვილისა.
4) ელემენტარული გეომეტრია, შედგ. ს. ოცხელის მიერ.
5) ალგებრაულ ამოცანათა კრებული, შედ. ს. შარაშენიძისა და ნ. სვანიძის მიერ.
6) არითმეტიკული კრებული გიმ. I კლ. } ალ. ჯაფარიძისა,
7) „ „ „ II „ } ს. დათეშიძისა
8) „ „ „ III „ } ალ. მგალობლიშვილისა.

მზადდება გამოსაცემად:

ქართული ანბანი შედგ. მასწავლებელ ქალთა ჯგუფის მიერ.
ქართული ენის სახელმძღვანელო გიმ. I და II კლ. } შედგ. ქუთ. ქართ. გიმნ. მასწავლებელთა ჯგუფის მიერ.
„ „ „ „ III და IV „ }
პირველდაწყებითი ალგებრა მე-III და IV კლ. კურსი ს. ოცხელისა.
გეოგრაფია ივანოვისა I კლ. კურსი (თარგმანი)
ქართული სიმღერები, ნოტებზე გადაღებული ნ. შარაბიძის მიერ (საშუალო გამოცემა)
მიღებულია აგრეთვე სხვა და სხვა წიგნი, რომელთა გამოცემის შესახებ ცალკე განცხადება იქნება.

მისამართი: Кутаисъ, кигоиздательство „Ганатлеба“.

# საავადმყოფო

სამხიდრო ექიმ სპეციალისტებისა მოსიარულე ავადმყოფებისთვის:

დიდი ვანქის ქუჩა № 3. ალექსანდრეს ბაღის ახლო, ტელეფონი 431.

ავადმყოფების მიღება: დილის 10 საათიდან 5 საათამდე.

ხელაძე—ბავშვთა შინაგან ავადმყოფობისა. ღებულობს 10—12 ს. ყოველდღე.
გეინაცი—თვალის ავად. 2—3 საათ. ორშაბათობით და ოთხშაბათობით.
ახპითელი—ყელის, ყურის და ცხვირ. 1—2 საათ. ორშაბათ. და ოთხშაბათ.
ფირადოვი—ქირურგ. ავად. 12—1 საათამდე.
მონხე—ბავშვთა შინაგან ავად. 1—3 საათამდე ყოველ დღე.
ჩუდნოვსკი—შინაგან და ნერვიულ ავად. 12—1ს აათ. ხუთშაბ. და კვირაობით.
ბეგზადოვი—ქალთა და სამებიო ყოველ-დღე 2—3 საათამდე.
იოხელიანი—ქალთა და სამებიო ავად. ღებულობს ორშ., ოთხშ. და პარ. 11—12 ს.
ნარიმანოვი—ვენერიული ავად. ყოველ-დღე 10—11 საათამდე.
დეკანოზოვი—ქალთა ავად. სამშაფათ. ხუთშაბ. და შაბათობით 12—1 საათ.
ტროიცკაია—ქალთა და ქირურგ. ავად. ყოველდღე ქირურგ. 2—3 საათამდე. ქალთა ავადმყოფ. 3—4 საათამდე.
ბაგდოევისა—კბილის ექიმი ყოველ-დღე 3—5 საათამდე.
ადეიშვილისა—კბილის ექიმი ყოველ-დღე 10—12 საათამდე.

100—667—29

თბილისის მრეწველნი

ძმ. მიზანდარები

ბებუთოვის ქუჩა, სასტუმრო სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარი და ხელებზე ხილი, „ძ. მიზანდარები“, ხამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, ზუთხი მარილიანი, შავი „ბელზოზნი“ ხიზილალა. მივიღეთ საუკეთესო ხილეულის შამპანური შემდეგი გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი წისქვილის ნუგბარი, ფხალი, ზეთი და ლორი, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყველაფერი კონსერვები და ხილეულები რუსების და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხარისხით ნამდვილი. (წ.)